# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№111 (24.991) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 - 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 2022 Წ. 50 ᲗᲔᲗᲠᲘ


**ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲝᲑᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ**



დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## ᲙᲠᲘᲐᲚᲝᲡᲐ N ᲘᲣᲡᲘ

რუსეთ-უკრაინის ომი ყველას გვეხება და სერიოზულ ცვლილებებს მოიტანს, - ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა. მისი თქმით, საჭიროა გამოსავალი მოიძებნოს. „რუსეთ-უკრაინის ომი დღეს ევროპის შუაგულში ყველას გვეხება. შესაძლებლობები, რომლებსაც ჩვენ თავისთავად ვიღებთ, როგორიცაა ელექტროენერგია, საწვავი, ბენზინი, წყალი და საკვებიც კი, ახლა ფუფუნებად იქცევა. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები. ეს სწრაფად ცვალებადი პროცესი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სერიოზულ ცვლილებებს მოიტანს", - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

* * *

დონალდ ტრამპი რუსეთსა და უკრაინას მოლაპარაკების დაწყებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ მან ნევადაში ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადა. „რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი უნდა მოგვარდეს და ეს უნდა მოხდეს მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მესამე მსოფლიო ომი გველის", - აღნიშნა ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა.

* * *

ეს იყო ტერორისტული აქტი და დივერსია, რომელიც ჩადენილი იყო კრიმინალური კიევის რეჟიმის მიერ. ამასთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არასდროს ყოფილა, - ამის შესახებ რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა განაცხადა. მისი თქმით, ყირიმის ხიდზე უკრაინის ტერორისტულ თავდასხმას რუსეთმა ტერორისტების განადგურებით უნდა უპასუხოს, - „რუსეთის პასუხი ამ დანაშაულზე შეიძლება იყოს მხოლოდ ტერორისტების პირდაპირი განადგურება, ამას ელიან რუსეთის მოქალაქეები", - აღნიშნა მედვედევმა.

* * *

რუმინეთის თავდაცვის მინისტრ ვასილე დინკუს განცხადებით, ნატომ და აშშ-მა რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ, რათა ომი დასრულდეს და უკრაინამ უსაფრთხოების გარანტიები მიიღოს. მისივე თქმით, მხოლოდ მოლაპარაკებების გზით მიეცემა რუსეთს შანსი, უკრაინაში ომი დაასრულოს. დინკუ მიიჩნევს, რომ კიევი მოსკოვთან პირისპირ საუბარში შეთანხმებას ვერ მიაღწევს, ამასთან რუსულ მხარეს კვლავ აქვს რესურსები ომის გასაჭიანურებლად. „იდეალური იქნებოდა მოლაპარაკებების დაწყება, თუნდაც ეს კონფლიქტის გაყინვით დასრულდეს, ნებისმიერ შემთხვევაში, მოლაპარაკებებს უფრო მეტი სარგებელი ექნება, ვიდრე იმას, რაც ხდება ახლა - ადამიანების და ქონების განადგურება", - აღნიშნა რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა.

**მოამზადა**
**ია შველიძე**

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ 20 ᲛᲔᲢᲧᲔᲕᲔ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲐ

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან და სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ ყურშუბაძესთან ერთად, მეტყევეებს შეხვდა და მათ პროფესიული დღე მიულოცა, 20 მეტყევეს კი სატყეო სექტორში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცა*



თორნიკე რიჟვაძემ შეხვედრაზე მეტყევის პროფესიის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი შრომა უფრო მეტ დაფასებას მოითხოვს. თორნიკე რიჟვაძის თქმით, რიგი ღონისძიებების გატარების შედეგად, თითოეულ მეტყევეს ექნება როგორც ამ პროფესიაში წარმატების მიღწევის, ასევე ღირსეული შრომის საშუალება.

- 10 ოქტომბერს აღინიშნება მეტყევის დღე. აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად, ჩვენ ეს დღე მივულოცეთ მეტყევეებს და წარჩინებულ, ღვაწლმოსილ მეტყევეებს გადავეცით შესაბამისი სიგელები, - აღნიშნა მინისტრმა ზაზა შავაძემ.

მეტყევის კვირეულის ფარგლებში, აჭარაში დაგეგმილია გამწვანების აქცია, კერძოდ, მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაირგვება 850 ძირი ფიჭვის, კედრის, კვიპაროსისა და ტუიას ნერგი. ცნობიერების ამაღლების მიზნით, აქციაში ჩართული იქნებიან მოსწავლეებიც.

**ია შველიძე**

# „ᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲐᲓ"

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

*10 ოქტომბერი ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა. თარიღთან დაკავშირებით, ბათუმის სამედიცინო ცენტრში - (BMC) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა*



სხდომაზე მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე სამინისტროს „ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის" შესახებ მოხსენებით წარსდგა.

„აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ პროგრამა 2017 წელს დანერგა და მისი მიზანია ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა, პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის პროგრამა მხოლოდ აჭარის რეგიონში ფუნქციონირებს. მიმდინარე წელს გაიზარდა პროგრამის დაფინანსება, ბიუჯეტი 730 750 ლარს შეადგენს და სერვისით 50 ბენეფიციარი სარგებლობს", - აღნიშნა სხდომაზე მარი ზანაქიძემ.

პროგრამის ბენეფიციარები არიან ხანდაზმულები, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები, რომელთა მართვა სახლის პირობებში შეუძლებელია და ამავე დროს ვერ აკმაყოფილებენ სტაციონარული მომსახურების პირობებს. პროგრამით გათვალისწინებულია 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა, სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობა და სხვა სამედიცინო სერვისები, საჭიროების შემთხვევაში. პროგრამის განმახორციელებელი ბათუმის სამედიცინო ცენტრია. სამინისტრო ასევე ახორციელებს „ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის" პროგრამას, რომლის ფარგლებში 24-საათიანი სერვისი მიეწოდება 72 ბენეფიციარს.

სხდომას კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე უძღვებოდა. კომიტეტის წევრებმა მინისტრის პირველი მოადგილის მოხსენება ცნობად მიიღეს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ. მსოფლიო დღის მიმდინარე წლის თემაა - „ვაქციოთ ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ყველასთვის გლობალურ პრიორიტეტად".

სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართა პაციენტების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.


## ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ? 4

## ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲣᲤᲐᲚᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲝᲪᲕᲐ 5

## ᲒᲘᲐ ᲨᲝᲛᲐᲮᲘᲐ: ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲐᲕᲣᲐᲠᲝ 7

# ღვინის დღეები – საქართველოში

დარინა ბაბაიძე 27 48 93

*ღვინის დღეები - ღვინის სამშობლოში. 8-ათასწლიანი ტრადიცია გრძელდება, ღვინის თემატიკაზე შექმნილი ყველაზე მასშტაბური ყოველწლიური ფესტივალი ერთდროულად ბათუმსა და საქართველოს კიდევ 7 რეგიონში დაიწყო*

ქართული ღვინის ტრადიციების, წარმოების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივის გაცნობის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ღვინის დღეები იმართება. ერთი კვირის განმავლობაში, ადგილობრივებს და ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ, დააგემოვნონ ქართული ღვინო და გაეცნონ ქართულ სამზარეულოს, ასევე კერძების მომზადების პროცესს დააკვირდნენ.

ღვინის ფესტივალი განსაკუთრებული მოვლენაა ზღვისპირა ქალაქისთვის. ბათუმში, ძველი ბულვარის ტერიტორიაზე, კოლონადების მიმდებარედ ჩატარდა გამოფენა-გაყიდვა. ბათუმელებს და ქალაქის სტუმრებს ადგილზე შეეძლოთ ღვინის დეგუსტაცია და შეძენა, ასევე, აჭარული კერძების დაგემოვნება. ფესტივალის პირველი დღე ბათუმში კონცერტით დასრულდა.



ღვინის დღეებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროს ლევან ბოლქვაძეს.

- ძალიან კარგი ნაბიჯია პრემიერ-მინისტრის, რომ მთელ საქართველოში ტარდება ღვინის ფესტივალი და იგი აღმოსავლეთ საქართველოდან დაწყებული - დასავლეთით დამთავრებული, ყველა ქალაქსა და დიდ დაბაში იმართება. ყველაზე მეტად ეს ხელს უწყობს როგორც ადგილობრივ მეღვინე-მწარმოებლებს, ასევე, ზრდის სხვადასხვა ჯიშის ვაზის და ადგილობრივი მევენახეების ცნობადობას. მევენახეობა და მეღვინეობა ერთმანეთისგან განუყოფელი დარგებია. აქედან გამომდინარე, რამდენჯერაც მეღვინეობის მრავალფეროვნება გაიზრდება და, რა თქმა უნდა, რეალიზაცია სხვადასხვა ქვეყნებში მოიმატებს, იმდენად ფასდება ქართველი ფერმერის შრომა და იზრდება ყურძნის ფასიც. წელს არ ველოდით, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ქედის სინამდვილეში, ცოლიკაურის ფასი 2 ლარი, 2.50 და 3 ლარზეც ავიდა. ვფიქრობდით, თუ ყურძენი ძვირი იქნებოდა, ფერმერები მის რეალიზაციას ვერ მოახერხებდნენ. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. 500 ტონა ქედის „ცოლიკაური" უკვე, ასე ვთქვათ, წინასწარ გაყიდულია, წინასწარ ოჯახებზე მოლაპარაკებული არიან, თანხაც აქვთ გადახდილი, ანუ რეალიზაციის პრობლემა აღარ დგას. რაც შეეხება „ჩხავერს", უფრო ძვირი სიამოვნებაა, ძალიან კარგი ყურძენია, გაიზარდა მასშტაბები, 250 ტონას ველოდებით და რაღაც რაოდენობა უკვე ქარხნის მისაღები იქნება, ანუ კერძო კომპანიები ვერ აითვისებენ, დიდი ქარხნები გარკვეულ რაოდენობას შეისყიდიან ფერმერებისაგან. აი, სწორედ ესაა ამ ღონისძიებების

იხ. მე-8 გვ.

# ერთი წელი – ბათუმში მომხდარი ტრაგედიიდან

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

*2021 წლის 8 ოქტომბერს ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსი ჩამოინგრა, რამაც 9 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის იყვნენ ბავშვები. 29 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა სამაშველო სამუშაოები იმ იმედით, რომ ნანგრევებში მოყოლილები გადარჩებოდნენ...*

ერთი წლის თავზე ტრაგედიის ადგილზე იმყოფებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ასევე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები. მათ პატივი მიაგეს ბათუმში მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნას.



- ერთი წელი გავიდა ბათუმის ტრაგედიიდან, რომელმაც შეძრა არა მხოლოდ ჩვენი ქალაქი, არამედ მთელი ქვეყანა. კიდევ ერთხელ პატივი მინდა მივაგო მათ ხსოვნას და გამძლეობა ვუსურვო მათ ოჯახებს. ეს მოუშუშებელი ტკივილია როგორც ამ ოჯახებისთვის, ასევე თითოეული ჩვენგანისთვის, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, ბათუმში მემორიალი განთავსდება. გარდა ამისა, ჩამონგრეული სახლის ადგილზე ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა იგეგმება.

- ბუნებრივია, მძიმეა ერთი წლის შემდეგაც ამ ტრაგედიაზე საუბარი. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახებს და დაზარალებულ ადამიანებს. ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულ მისამართზე და დაზარალებულ ოჯახებთან მიმართებაში, ბათუმის მერიამ გაატარა რიგი ღონისძიებები. იცით, რომ ამ ეტაპზე, ყველა ოჯახი ქირითაა გაყვანილი, ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა, მოხდა კორპუსის დემონტაჟი, ამავდროულად დაიგეგმა ახალი საცხოვრისის პროექ-




ტირება, რომელიც მოემსახურება აქ მცხოვრები ადამიანების ინტერესებს. უახლოეს პერიოდში საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადდება შესყიდვის სამუშაოები. ამავდროულად მერიამ გამოაცხადა კონკურსი ამ ტრაგედიის აღსანიშნავი მემორიალისთვის. კონკურსი იქნება გამჭვირვალე. ის რამდენიმე დღეში დასრულდება. დამატებით ინფორმაციას მოგაწვდით უახლოეს მომავალში, - განაცხადა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

ჩამონგრეული კორპუსიდან მაშველების მიერ ამოყვანილი ერთადერთი გადარჩენილი მამაკაცი 38 წლის ზვიად თავდგირიძეა.

გავრცელებული ინფორმაციით, გასულ წელს კორპუსის ერთი სადარბაზოს ნგრევა პირველ სართულზე არსებულმა სარემონტო სამუშაოებმა გამოიწვია. ნგრევას წინ უძღოდა აფეთქების ხმა. კორპუსის ეზოში მობილიზებულები იყვნენ სამაშველო ჯგუფები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კორპუსის ჩამონგრევის საქმეზე სამი ადამიანია დაკავებული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით აღიძრა, რაც სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას და სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და მძიმე შედეგი მოჰყვა. დანაშაული 2-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისთვის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*შუახევის რესურსცენტრისა და სპმთპ-ის შუახევის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით, შუახევში გაიმართა ქედის, შუახევისა და ხულოს საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებისა და ადმინისტრაციის წევრების პირველი მუნიციპალური კონფერენცია თემაზე: „ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გამოწვევები მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სკოლებისთვის და მართვის საუკეთესო პრაქტიკა"*

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ სურმანიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, შუახევის, ქედის რესურცენტრების უფროსები ედუარდ გოგრაჭაძე, დურმიშხან შავიშვილი, ხულოს რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენადი აბაშიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის მოადგილეები გიორგი კეკელიძე, მირიან აბაშიძე, გურამ ზოიძე, სპმთპ-ის შუახევის, ქედისა და ხულოს რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები ლევან ნატარიძე, თეიმურაზ შერვაშიძე, ემზარ დეკანაძე.

კონფერენციის მონაწილეებმა 13 მოხსენება წარმოადგინეს. საინტერესო იყო ნიგაზეულის, ბარათაულის, ფურტიოს, ახალდაბის, ძენწმანის, ძმაგულის, სხალთის, ზემო ვაშლოვანის, მანიაკეთის საჯარო სკოლების დირექტორების შაქრო ხიმშიაშვილის, დავით ქათამაძის, ნაზი ქამადაძის, თემურ დავითაძის, ცირა აბულაძის, მალხაზ მახარაძის, თემურ შაინიძის, ამირან აბულაძის, რომან საგინაძის, სპეცმასწავლებლების - ირმა საფარიძის, სოფო ლომინაძის, აკადემიური დოქტორის სოსლან სურმანიძის, ადმინისტრატორ ნანა ხალვაშის გამოსვლები, რომლებიც სადისკუსიო თემას ამომწურავად პასუხობდა.

ყველა მომხსენებელს სერტიფიკატები გადაეცა.

- შუახევში ერთობ საინტერესო და სასკოლო საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე კონფერენცია გაიმართა. ხარისხიანი განათლება თანამედროვე გამოწვევების მთავარი მიმართულებაა,- გვითხრა ჯემალ სურმანიძემ.

## შაბათ-კვირის ქრონიკა

ბობოყვათში მოსახლეობამ აქცია გამართა და წინაპრების კუთვნილი მიწების დაბრუნება მოითხოვა. აქაურები მიწაზე წლებია დავობენ და აცხადებენ, რომ მათი მემკვიდრეობა, 20 ჰა მიწა, ინვესტორებზე უკანონოდ სხვისდება და ამ ტერიტორიაზე ინვესტორებს მშენებლობის უფლებას არ მისცემენ.

* * *

ბათუმში ვეტერანი ქართველი მოჭიდავის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის როსტომ აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და საქართველოს ყველა რეგიონის 300-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. გამარჯვებულებისა და პრიზიორებისგან დაკომპლექტდება საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

* * *

ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა, სარაგბო კლუბმა „ბათუმმა" მეხუთე ტურის დასკვნით მატჩში, სტუმრად მშრალი ანგარიშით 29:0 დაამარცხა ქუთაისის „აია". „ბათუმმა" მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანა და საპრემიო ქულა მიიღო. შედეგად სატურნირო მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. გუნდი ამჟამად დიდი 10-ის გათამაშებაში მეხუთე პოზიციაზე იმყოფება. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ „ბათუმის" მესამეხაზელი გიორგი თხილაიშვილი აღიარეს.

* * *

ბათუმის ცენტრალურ პარკში ტერენტი გრანელის ცხოვრება და მოღვაწეობა გაიხსენეს, წაიკითხეს პოეტის ლექსები. ღონისძიებაზე მწერლები, პოეტები და აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის წევრები იმყოფებოდნენ, ღონისძიების დაწყებამდე მათ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე სახლის ნგრევის შედეგად გარდაცვლილებს.

* * *

„დასაქმების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის" - პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებაში სხვადასხვა აქტივობის მხარდამჭერი სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, სამიზნე ჯგუფების წევრები და ბენეფიციარები მონაწილეობდნენ. პროექტის მიზანი მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები შშმ პირებისთვის, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის, ეკომიგრანტებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის დასაქმების ხელშეწყობაზე ორიენტირებული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სერვისების, ასევე, მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსების შეთავაზება იყო.

# ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*გაეროს ბავშვთა ფონდმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ ბავშვის უფლებათა ცენტრთან ერთად, დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლას ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა*

აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ საგანმანათლებლო და სასწავლო ცენტრის შექმნაში, რომელიც ბავშვთა უფლებებზე იზრუნებს და ხელს შეუწყობს ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების გაძლიერებას. გაეროს ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტში საქართველოს რვა სახელმწიფო უნივერსიტეტია ჩართული. აღნიშნულ ცენტრში მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები გაიმართება.

- ბავშვის უფლებათა ცენტრების ჩართულობა ლოკალურ დონეზე ინკლუზიური განათლების გაძლიერებაში უმნიშვნელოვანესია. მოხარულები ვართ, რომ ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით შექმნილი ცენტრები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც ბავშვის უფლებების პოპულარიზაციაში, ასევე ინკლუზიური განათლების გაძლიერებაში, - განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ღასან ხალილმა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ბავშვის უფლებათა ცენტრი ეხმარება განათლების მომავალ სპეციალისტებს, მშობლებს. უნივერსიტეტი აპირებს შეიმუშაოს სპეციალური საგანმანათლებლო მასალები, რომელიც ბავშვთა უფლებებზე ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის დაინტერესებულ პირებს.

# ევროპაში უსაფრთხოების ახალი სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს



*ის ფაქტი, რომ გუშინ, დილით რუსული შორი მოქმედებისა და სტრატეგიული დანიშნულების რაკეტმზიდი-ბომბდამშენი თვითმფრინავებიდან, უშუალოდ რუსეთის საჰაერო სივრციდან და ბელარუსიდან უკრაინის ქალაქების მიმართულებით რამდენიმე ათეული ფრთოსანი რაკეტა გაუშვეს, კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ რუსული იმპერიის მამამთავარი, ვლადიმერ პუტინი მწვავე რეაგირების გარეშე არ ტოვებს მის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს. გუშინდელი იერიშის შედეგად კიევის გარდა დაიბომბა დნეპრი, ლვოვი, ნიკოლაევი, ზაპოროჟიე, ხარკოვი, ხმელნიცკი, კრივოი როგი, ოდესა... ასე უპასუხა კრემლმა ყირიმის ხიდის აფეთქებას*

უნებლიეთ გახსენდება მე-20 საუკუნის დიქტატორი ჰიტლერი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის წაგების წინააგონიისას ისტერიულად დაბომბა ევროპის ქალაქები. მასაც ჩვენი თანამედროვე დიქტატორივით იმედი ჰქონდა, რომ ელვისებურად დაიპყრობდა საბჭოთა კავშირს. ჩვენ კი უდავოდ, ხელს გვაძლევს თუ ბუნკერში სიკვდილითაც ისევე დაემსგავსება მას პუტინი, როგორც უკრაინაზე დილაუთენია თავდასხმითა და ჩაფლავებული ბლიცკრიგით დაემსგავსა.

საეჭვოა, პუტინმა უკრაინის ქალაქების დაბომბვით ომის ბედი თავის სასარგებლოდ წარმართოს. სავარაუდოდ, ეს თავადაც იცის, მაგრამ უკრაინელთა დაშინების იმედი ნამდვილად აქვს, იქნებ და მოსახლეობის ზეწოლით კიევი მოლაპარაკებაზე წავიდეს და კრემლის პირობებს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე დათანხმდეს, თუმცა სულ ფუჭად, რადგან ამ ხალხმა უკვე არაერთხელ დაამტკიცა, რომ თავისი მიწა-წყლის დათმობას არ აპირებს. ერთ რამეს ნამდვილად დიდი ხანია მიაღწია რუსმა დიქტატორმა - ომის დამნაშავის სახელი საშვილიშვილოდ დაიმკვიდრა.

კრემლის პირობებზე დათანხმება ომის დაკონსერვებას ნიშნავს და წლობით დარჩენილ მოუგვარებელ პრობლემას, როგორც ეს საქართველოში მოხდა - ნაწილობრივ ოკუპირებული ქვეყანა. ეს მართლაც დიდი შეცდომა იქნებოდა იმ ფონზე, რომ ფრონტის რამდენიმე მონაკვეთზე უკრაინის არმია საბრძოლო უპირატესობას ფლობს, კონტრშეტევებზეა გადასული და მეტნაკლები სისწრაფით ათავისუფლებს ოკუპირებულ ტერიტორიებს. ვფიქრობთ, ზელენსკი, რომელიც უარეს ვითარებაშიც არ წასულა დათმობაზე, ახლა შეუშინდეს ომის გაგრძელებას.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უკრაინისა და მთელი მსოფლიოს იმედებს კვებავს, ის არის, რომ პუტინის ტახტი საგრძნობლად ირყევა, მისი თანამემამულენი სულ უფრო აქტიურად გამოხატავენ პროტესტს ომისა და საზოგადოდ, პუტინის რეჟიმის მიმართ. საფიქრებელია, რომ ფრონტის ხაზზე რუსეთის სამხედრო შენაერთების კიდევ რამდენიმე ფიასკოსა და უკანდახევის შედეგად მისი ბზარშეპარული იმპერიის კედლები საბოლოოდ ჩამოიშალოს.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ვალერი ზალუჟნიმ მოსახლეობას ამცნო, რომ გუშინ, შუადღისთვის რუსმა ოკუპანტებმა უკრაინის ქალაქების მიმართულებით 75 ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტა, აგრეთვე, 14 დრონი-კამიკაძე გაუშვეს, რომელთაგან 41-ის ჩამოგდება შეძლეს უკრაინელმა მეზენიტეებმა.

არავის აკვირვებს, რომ რუსული რაკეტების სამიზნეები უკრაინის დიდი ქალაქების ცენტრებში მხოლოდ მოედნები და სკვერები როდი გახდა, რუსმა ოკუპანტებმა დარტყმები უკრაინულ თბოელექტროსადგურებსაც მიაყენეს. ამით ხომ მეტ საფრთხეს შეუქმნიდნენ, ანუ უფრო დააშინებდნენ მოსახლეობას, რომლისთვისაც აქაურ ცივ ზამთართან გამკლავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პუტინის მიერ უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ მიმართული სარაკეტო დაბომბვები უფრო არაადამიანურსა და ფართომასშტაბიანს ხდის ამ ომს, დასავლეთი, რომელიც ამ ამბავს გულმოდგინედ აკვირდება, წესით არანაირი არგუმენტი აღარ უნდა დარჩეს იმის მიზეზად, რატომ არ უნდა გადასცეს უკრაინის არმიას შორსმოქმედი სარაკეტო შეირაღება, ეს იარაღი უკრაინის მხარეს თუნდაც იმ რუსული აეროდრომების გასანეიტრალებლად გამოადგება, საიდანაც აფრენილი რუსული ბომბდამშენები ასე დაუნდობლად ბომბავენ უკრაინის ქალაქებს.

რუსეთის მიერ 21-ე საუკუნეში უკრაინის ოთხი ოლქის (დონეცკი, ლუგანსკი, ხერსონი და ზაპოროჟიე) ანექსია, ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება და მუქარა ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ, უდავოდ მეტყველებს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის სირთულეებზე. აშკარაა, რომ პროცესი კიდევ უფრო სახიფათო ხდება. მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მიიღო, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ობიექტები რუსეთის ფედერალურ საკუთრებად აქციოს. ცხადია, აღნიშნული ბრძანებულება ბათილია, რადგან გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევითაა მიღებული. შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უკანონობას ეფუძნება, ვერ იქნება კანონიერი და ვერ გამოიწვევს სამართლებრივ შედეგებს. სხვა, სუვერენული, სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების უხეში დარღვევაა და კოლონიალიზაციის პერიოდისკენ სწრაფვის ნიშანია. მოსკოვის მოქმედებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ კრემლს უკრაინის, როგორც სახელმწიფოს განადგურება ჰქონდა მიზნად დასახული. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიაზე განაცხადა: „ვინც არ უნდა იყოთ, სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, რისიც არ უნდა გჯეროდეთ - ამან უნდა გაგიყინოთ სისხლი ძარღვებში“. დღეს ცივილიზებული სამყარო უკრაინის გვერდითაა. სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს, საერთაშორისო წესრიგის დამცველებს კარგად ესმით, რომ სწორედ უკრაინაში წყდება საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მომავალი.

დასავლეთი ყოველთვის ცდილობდა დიპლომატიური და სხვა მშვიდობიანი ხერხებით გაენეიტრალებინა რუსეთის ფედერაციიდან წამოსული საფრთხეები. 2022 წლის 24 თებერვლამდე ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებები,პრეზიდენტების დონეზე შეხვედრებიც შედგა. და მაინც, რუსეთის აგრესიამ უკრაინის მიმართ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ იმპერიის ამ ნაშთთან სტაბილური და პროგნოზირებადი ურთიერთობების დამყარება, რბილად რომ ვთქვათ, ძნელია. კრემლმა მოლაპარაკების ყველა ვარიანტი გაანადგურა და უარესიც - პუტინის თვითნებობამ, საერთაშორისო ნორმების იგნორირებამ კაცობრიობა შესაძლოა ბირთვული ომის რეალური საფრთხის წინაშე დააყენოს. აშშ-ის პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის თქმით: „ბირთვული ომი არ შეიძლება მოიგონ, იგი არ უნდა მოხდეს“.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, დმიტრო კულებას განმარტებით კი „მსოფლიოში არცერთ სხვა ქვეყანას ისე არ სწყურია მშვიდობა, როგორც უკრაინას. ჩვენ არასდროს გვინდოდა ეს ომი და არასოდეს ავირჩიეთ ის, ჩვენ უბრალოდ გვინდა ვიცხოვროთ ნორმალური ცხოვრებით“.

ამ ომს მოწინააღმდეგეები ჰყავს რუსეთშიც. ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებისთანავე ქვეყანიდან ასობით ათასი ადამიანი გაიქცა. პუტინს ამ უსამართლო ომის დაწყება აშკარად ძალიან ძვირი დაუჯდება პოლიტიკურადაც და ამას შეიძლება მისი ხელისუფლების დასასრულიც მოჰყვეს.

მიუხედავად კრემლის მუქარისა, რეზერვისტების რაოდენობის გაზრდისა და უკანონო რეფერენდუმების შედეგად ძალით უკრაინის ტერიტორიების მიერთებისა, საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე მხარდაჭერით, უკრაინა კონტრშეტევით ოპერაციებს აგრძელებს. უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა, ბოლო დღეებში, რუსი ოკუპანტებისგან ხერსონის ოლქის დიდი ნაწილი გაათავისუფლეს. ამასთანავე, რუსული ძალაუფლების ორი ცნობილი სიმბოლო - მართვადი სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ და ქერჩის ხიდი - უკრაინულ ყირიმში დაეცა. დიდი იმედია, რომ უკრაინა, პარტნიორების დახმარებით, დეოკუპაციას და გამთლიანებას მიაღწევს.

სამწუხაროდ, დღევანდელი გლობალური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა საერთო ღირებულებებსა და მიზნებს არ ითვალისწინებს. საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანო - უშიშროების საბჭო არათანასწორ, არაპარიტეტულ საწყისებზეა შექმნილი. მასში მცირე სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით ძნელია საკუთარი ინტერესების დაცვა. საერთაშორისო პოლიტიკას, საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფით, ხშირ შემთხვევაში, ფასეულობების ნაცვლად, გარკვეული ინტერესები განსაზღვრავს, მათ შორისაა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო წესრიგს ზიანს აყენებს. ამიტომაც საერთაშორისო სამართალმა თითქოს რეალურად მნიშვნელობა დაკარგა, ვინაიდან მისი ნორმების დარღვევას არ მოსდევს სწრაფი და ქმედითუნარიანი რეაქცია. ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა რუსეთის ფედერაციამ სუვერენული უკრაინის, საქართველოსა და სხვა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია, მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ანექსია მოახდინა, კიდევ უფრო ამწვავებს ამ საკითხს. საფრთხის შემცველია, კრემლის მუქარები ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საერთაშორისო წესრიგის „ჩვენს თვალწინ ნაკუწებად ქცევაში“ დაადანაშაულა.

გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას აშშ-ის პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა უშიშროების საბჭოს სტრუქტურულ ცვლილებაზე ყურადღება გაამახვილა. კერძოდ, აშშ მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი და არამუდმივი წევრების რაოდენობის გაზრდას. ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა კი პირდაპირ განაცხადა, რომ არაპროვოცირებული და უსამართლო ომის დამწყები ქვეყნის წევრობის შეჩერება გაეროს უშიშროების საბჭოში ავტომატურად უნდა ხდებოდეს.

გაეროს წესდების მე-4 მუხლის თანახმად, გაეროს წევრობა შეუძლია ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომელიც მზადაა, წესდებით დადგენილი ვალდებულებები შეასრულოს. აუცილებელია, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით, გაეროს წევრმა ქვეყნებმა მოიწვიონ კონფერენცია გლობალური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის გარდაქმნისა და გაეროს წესდების იმ ნორმების გადახედვისთვის, რომლებიც სისტემას არა მარტო დროულად გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას არ აძლევს, არამედ მთლიანად პროცესს აჩერებს. ვეტოს უფლების გამოყენება საერთაშორისო სამართლის ნორმების აღსრულების დამაბრკოლებელ ფაქტორად არ უნდა იქცეს. კოლექტიური უსაფრთხოების ახალი სისტემის ამოსავალი პრინციპი სახელმწიფოთა თანაბარი წარმომადგენლობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ცვლილებებს საჭიროებს, ეს რთული და, შესაძლოა, ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდეს. შესაბამისად, ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია, რეგიონალურ დონეზე სათანადო ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გაძლიერება.

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული არაპროვოცირებული და უსამართლო ომი ევროპაში უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნის მიზეზი უნდა გახდეს. პრაღაში ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის დაფუძნებით ევროპული უსაფრთხოების ახალი სტრუქტურის, სისტემის შექმნის ტენდენციები იკვეთება. აღნიშნული პლატფორმა ევროპის 44 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, აერთიანებს. მასში შედის ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანა და 17 პარტნიორი სახელმწიფო.

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჯოზეფ ბორელმა განაცხადა, „ევროპაში უსაფრთხოების სისტემის ახალი სტრუქტურა რუსეთის გარეშე ჩამოყალიბდება არა იმიტომ, რომ მათ არ სურთ, რომ რუსეთი ევროპის ნაწილი იყოს, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი ევროპული თანამეგობრობიდან პუტინის მიერ იქნა გარიყული“.

**მოამზადა**
**მარი მიდასელმა**

## უცხოეთი

რუსეთ-უკრაინის ომი ყველას გვეხება და სერიოზულ ცვლილებებს მოიტანს, - ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა. მისი თქმით, საჭიროა გამოსავალი მოიძებნოს. „რუსეთ-უკრაინის ომი დღეს ევროპის შუაგულში ყველას გვეხება. შესაძლებლობები, რომლებსაც ჩვენ თავისთავად ვიღებთ, როგორიცაა ელექტროენერგია, საწვავი, ბენზინი, წყალი და საკვებიც კი, ახლა ფუფუნებად იქცევა. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები. ეს სწრაფად ცვალებადი პროცესი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სერიოზულ ცვლილებებს მოიტანს“, - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

* * *

დონალდ ტრამპი რუსეთსა და უკრაინას მოლაპარაკების დაწყებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ მან ნევადაში ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადა. „რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი უნდა მოგვარდეს და ეს უნდა მოხდეს მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მესამე მსოფლიო ომი გველის“, - აღნიშნა ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა.

* * *

ეს იყო ტერორისტული აქტი და დივერსია, რომელიც ჩადენილი იყო კრიმინალური კიევის რეჟიმის მიერ. ამასთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არასდროს ყოფილა, - ამის შესახებ რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა განაცხადა. მისი თქმით, ყირიმის ხიდზე უკრაინის ტერორისტულ თავდასხმას რუსეთმა ტერორისტების განადგურებით უნდა უპასუხოს, - „რუსეთის პასუხი ამ დანაშაულზე შეიძლება იყოს მხოლოდ ტერორისტების პირდაპირი განადგურება, ამას ელიან რუსეთის მოქალაქეები“, - აღნიშნა მედვედევმა.

* * *

რუმინეთის თავდაცვის მინისტრ ვასილე დინკუს განცხადებით, ნატომ და აშშ-მა რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ, რათა ომი დასრულდეს და უკრაინამ უსაფრთხოების გარანტიები მიიღოს. მისივე თქმით, მხოლოდ მოლაპარაკებების გზით მიეცემა რუსეთს შანსი, უკრაინაში ომი დაასრულოს. დინკუ მიიჩნევს, რომ კიევი მოსკოვთან პირისპირ საუბარში შეთანხმებას ვერ მიაღწევს, ამასთან რუსულ მხარეს კვლავ აქვს რესურსები ომის გასაჭიანურებლად. „იდეალური იქნებოდა მოლაპარაკებების დაწყება, თუნდაც ეს კონფლიქტის გაყინვით დასრულდეს, ნებისმიერ შემთხვევაში, მოლაპარაკებებს უფრო მეტი სარგებელი ექნება, ვიდრე იმას, რაც ხდება ახლა - ადამიანების და ქონების განადგურება“, - აღნიშნა რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა.

* * *

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, ამერიკულ სამხედრო ბაზაზე სარაკეტო იერიში განხორციელდა. „ამერიკული და მოკავშირე სამხედრო მოსამსახურეებიდან არავინ დაშავებულა, მსხვერპლი არაა. შენობები და აღჭურვილობა ასევე არ დაზიანებულა“, - აცხადებენ პენტაგონში. ამერიკელმა სამხედროებმა რაკეტის გაშვების ადგილთან რამდენიმე გამოუყენებელი რაკეტაც იპოვეს.

**მოამზადა**
**ია შველიძე**

# რატომ არ ინტერესდება სახელმწიფო დარგით, რომელსაც დიდი შემოსავლების მოტანა შეუძლია საქართველოს ბიუჯეტისთვის?

ნანა აბულაძე 591 98 59 17

*„აკვაკულტურა - ახალი შესაძლებლობების სივრცე“, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ორგანიზაცია „მწვანე სექტორის“ ორგანიზებით, მედიის წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო ტური გაიმართა. აღნიშნულის ფარგლებში, ჟურნალისტებს შესაძლებლობა მოგვეცა, გავცნობოდით აკვაფერმერთა საქმიანობას ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - კვირიკეთსა და ვაკიჯვარში მოქმედ თევზსაშენ მეურნეობებში*

ექსპერტთა ჯგუფმა ჟურნალისტებისთვის ვრცლად ისაუბრა აკვაკულტურის ფუნქციასა და მნიშვნელობაზე, მის ეკონომიკურ პოტენციალსა და ეკოლოგიურ ღირებულებაზე. მათ ასევე ისაუბრეს საქართველოში თევზის წარმოების სექტორის განვითარების პერსპექტივებსა და ამ კუთხით არსებულ დაბრკოლებებზე, თუმცა სანამ უშუალოდ პროექტში ჩართული ექსპერტის კომენტარს შემოგთავაზებთ, მინდა აკვაკულტურასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციაზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება. აღსანიშნავია, რომ აკვაკულტურა განვითარების 4000-წლოვან ისტორიას ითვლის. იგი ყოველთვის წარმოადგენდა კაცობრიობის ცილით, მიკროელემენტებით და ამინომჟავებით გაჯერებული საკვებით უზრუნველყოფის ერთ-ერთ წყაროს, თუმცა, სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ბოლო დრომდე იგი არასდროს ყოფილა



თევზჭერასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე მნიშვნელოვანი. მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნეში აკვაკულტურამ განვითარების არნახულ მასშტაბებს მიაღწია. იგი სოფლის მეურნეობის რიგითი მიმართულებიდან მძლავრ ინდუსტრიად და ეკონომიკის სექტორად გადაიქცა, დღეისათვის კი სოფლის მეურნეობის ყველაზე მზარდი დარგია, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში 8,7%-იანი წლიური ზრდის ტემპით. რაც შეეხება საქართველოს, მოგახსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში აკვაკულტურის ისტორია 1929 წლიდან იწყება, სწორედ ამ წელს ხორციელდებოდა ღონისძიებები თევზის სატბორე მეურნეობის შესაქმნელად. 1929 წელს დაარსდა სააქციო საზოგადოება „საქთევზი“, რომელიც 1930 წელს გადაკეთდა თევზის მრეწველობის სახელმწიფო ტრესტად. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში ქვეყანაში აკვაკულტურის, ძირითადად, მეკალმახეობის ერთგვარი ბუმი შეინიშნებოდა, თუმცა ეს განვითარება სტიქიური იყო, სრულიად მოკლებული სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციურ უზრუნველყოფარეგულირება-ზედამხედველობას, დარგის სამეცნიერო და საკონსულტაციო მხარდაჭერას.

2007-2008 წლებში საკალმახე ფერმებში ფართოდ გავრცელებულმა სხვადასხვა ვირუსულ-ბაქტერიულმა დაავადებებმა ბევრი მეურნეობის დახურვა და საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ საქსტატმა აკვაკულტურის სტატისტიკური კვლევა და დამუშავება 2017 წელს დაიწყო საპილოტე გამოკვლევის, 2018 წლიდან კი ყოველწლიური გამოკვლევის სახით. მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებით, საქართველო აკვაკულტურის (მათ შორის მარიკულტურის) პროდუქციით ბოლოდან მე-3 ადგილზეა ევროპაში. ტერიტორიით უფრო მცირე და აკვაკულტურის განვითარების ბევრად ნაკლები პირობების მქონე ქვეყნებშიც კი ამ სექტორის პროდუქცია გაცილებით მეტია საქართველოსაზე. მაგალითად, სომხეთისა და ხორვატიის აკვაკულტურის პროდუქცია საქართველოზე დაახლოებით 22-ჯერ მეტია, მოლდოვისა - თითქმის 13-ჯერ, სლოვაკეთის - 2-ჯერ, კვიპროსისა და მალტის - დაახლოებით 8-ჯერ.



> ,, *საქართველო დღემდე რჩება შავიზღვისპირეთის იმ ქვეყნად, რომელსაც არცერთი მარიფერმა არ გააჩნია. თურქეთს აქვს რამდენიმე ასეული, ბულგარეთს - რამდენიმე ათეული, საქართველოს - არცერთი... ეს არის ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ეკონომიკური რეზერვი. ვერ დამისახელებთ სოფლის მეურნეობის ვერცერთ დარგს, ვერცერთ მიმართულებას, რომელსაც ისეთი ეკონომიკური პერსპექტივა ჰქონდეს, როგორიც აკვაკულტურას*

საქსტატის შარშანდელი საპილოტე შეფასებით, საქართველოს აკვაკულტურის პროდუქცია 2861 ტონის ფარგლებშია. ექსპერტების გათვლებით, ქვეყანას აქვს ყველა პირობა, რომ, შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, უახლოეს წლებში აკვაკულტურის პროდუქცია 2800 ტონიდან არანაკლებ 30 ათას ტონამდე, ანუ დაახლოებით 11-ჯერ გაზარდოს. 2020 წლის 24 ივნისს საქართველოში მიიღეს კანონი აკვაკულტურის შესახებ. ამ პერიოდში, აღნიშნული კანონის საფუძველზე მიღებული იქნა ამავე კანონით განსაზღვრული რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. დარგს, რომელიც 2020 წლამდე რეგულირების და ნორმატიული ბაზის გარეშე არსებობდა, ამ კანონით იმდენი ვალდებულება, ბიუროკრატიული ბარიერი და გადასახადი დაუწესდა, რომ დღეს მოქმედი აკვაფერმების უდიდესი ნაწილი მას უბრალოდ ვერ გადაიხდის.

აღნიშნული დარგი რატომ არ ხვდება სახელმწიფოს ინტერესში, კიდევ რა ბიუროკრატიულ პრობლემებს აწყდებიან ფერმერები, კონკრეტულად რა ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისთვის, რომ აკვაკულტურის დარგში არსებული ხარვეზები აღმოიფხვრას და მიეცეს მას განვითარების უფრო მეტი სტიმული, ვიდრე აქვს დღეს - ამაზე თავის მოსაზრებებსა და რეკომენდაციას ბიოლოგიის დოქტორი, აღნიშნული პროექტის ექსპერტი **არჩილ გუჩმანიძე** გაგვაცნობს:

- თუ ნახავთ ოფიციალურ სტატისტიკას, რომელსაც საქსტატი აწარმოებს, ბოლო ოთხი წელია, დარგი სტაგნაციის პერიოდში იმყოფება. რა არის ამის მიზეზები? ზოგადად, აკვაკულტურას ამოძრავებს რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, ეს არის გამართული კანონმდებლობა, ანუ გამართული ნორმატიული ბაზა, მეორე, ეს არის ინსტიტუციური ასპექტი, მესამე - სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო მხარდაჭერა და მეოთხე გახლავთ განათლება. დავიწყოთ ინსტიტუციით. საქართველოში არ არსებობს არცერთი ინსტიტუცია, რომელიც იქნებოდა სრულად პასუხისმგებელი ამ სექტორზე. აკვაკულტურის საკითხები სხვადასხვა ინსტიტუციას შორის არის გაბნეული, არ გვაქვს პასუხისმგებელი უწყება და, რა თქმა უნდა, ეს პრობლემებს ქმნის. საქართველოში არ არის არცერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუცია, რომელიც ამ საკითხზე უნდა მუშაობდეს. არ გვაქვს საკონსულტაციო ცენტრები, რომლებსაც შეუძლიათ ფერმერების კონსულტირება, არ ხდება ამ დარგის ექსპანსია და ასევე არ გვაქვს არცერთი პროფესიული მოდული ქვეყანაში, პროფესიული განათლების მიმართულება, რომელიც უშუალოდ აკვაკულტურას ეხმიანება და ასახავს. რაც შეეხება კანონმდებლობას, 2021 წელს მიღებულია კანონი აკვაკულტურის შესახებ. თავად ამ კანონის მიღება იყო ძალიან კარგი, რადგან ქვეყანამ გადადგა ნაბიჯი, რაც იყო უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი, მაგრამ, ამ კანონმა შემოიტანა კიდევ უფრო მეტი ბუნდოვნება, გაჩნდა კიდევ უფრო მეტი ბიუროკრატია, დააწესა ისეთი გადასახადები, რომელიც ბევრი მეწარმისთვის იქნება დაუძლეველი, ანუ, რეალურად ამ კანონმა შექმნა უფრო მეტი პრობლემა, ვიდრე კანონის მიღებამდე იყო, შესაბამისად, გახდება სერიოზული წინაღობა ამ დარგის განვითარებისათვის, იმიტომ რომ მრავალი ორაზროვნებაა, მრავალი ბუნდოვანებაა, არის პუნქტები, რომელიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. დაწესებულია ახალი სახის გადასახადები, მაგალითად, ამ გადასახადების მიხედვით, თუ ფერმერს 10-ტონიანი საკალმახე მეურნეობა აქვს, მხოლოდ, მოსაკრებლის სახით მოუწევს თვეში 700-800 ლარის გადახდა, ეს ძალიან დიდი ფულია პატარა მეურნეობისათვის. კანონი კიდევ არაერთ ბარიერს ქმნის, რაც დარგის განვითარებას უშლის ხელს. ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან, რომ ყველასათვის გასაგები იყოს: დღეს საქართველოს აკვაკულტურა არის 2861 ტონა, სომხეთის, რომელიც საქართველოს ტერიტორიით ნახევარია, არც ზღვა აქვს და იმის ნახევარი ჰიდრორესურსები არ აქვს, რაც საქართველოს, აკვაკულტურა არის 35 000 ტონა, ანუ, ქართულ აკვაკულტურას 15-ჯერ აღემატება. მაგალითად, მალტა, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტისხელაა, მისი აკვაკულტურა რამდენიმეჯერ აღემატება ქართულ აკვაკულტურას. შეგახსენებთ, რომ საქართველო ჰიდრორესურსების მხრივ მსოფლიოს ათეულში შედის და ევროპაში მეოთხე თუ მეხუთე ადგილზეა. ქვეყანას ჰქონდეს ამხელა ჰიდრორესურსები, გააჩნდეს უნიკალური კლიმატური პირობები ორაგულისებრთა აკვაკულტურის განვითარებისთვის, როცა ორაგულისებრნი არიან დღევანდელი აკვაკულტურის ყველაზე ღირებული და ფასეული ობიექტები, ჰქონდეს უნიკალური პირობები მეზღვაობის, მარიკულტურის განვითარებისთვის, რაც შავ ზღვაში გვაქვს და არ იყენებდეს, წარმოუდგენელია. საქართველო დღემდე რჩება შავიზღვისპირეთის იმ ქვეყნად, რომელსაც არცერთი მარიფერმა არ გააჩნია. თურქეთს აქვს რამდენიმე ასეული, ბულგარეთს - რამდენიმე ათეული, საქართველოს - არცერთი... ეს არის ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ეკონომიკური რეზერვი. ვერ დამისახელებთ სოფლის მეურნეობის ვერცერთ დარგს, ვერცერთ მიმართულებას, რომელსაც ისეთი ეკონომიკური პერსპექტივა ჰქონდეს, როგორიც აკვაკულტურას. ამ დარგს შეუძლია ძალიან დიდი წილით აისახოს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, ჰქონდეს დიდი ფისკალური ეფექტი, შექმნას ბევრი სამუშაო ადგილი. ჩვენ ამისთვის უნდა ვიმუშაოთ, ვიბრძოლოთ და მივაღწიოთ მიზანს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც აღვნიშნე, აკვაკულტრის განვითარება ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს პოლიტიკური ნება. ანუ, რეალურად იმ პირებს, რომლებიც მაღალ დონეზე იღებენ გადაწყვეტილებებს, არ აქვთ ინფორმაცია, ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქართველოში შეიძლება არსებობდეს ისეთი სფერო, რომელსაც შეუძლია ასეულობით მილიონი ლარის მოტანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ მოუსმინოს სპეციალისტებს და ექსპერტებს, ვინც ამ სფეროში მუშაობენ. აუცილებელია, სახელმწიფომ მოუსმინოს საერთაშორისო სპეციალისტებსაც, ვინც ამ კუთხით მუშაობენ და მათი რეკომენდაციები გაითვალისწინოს. დარწმუნებული ვარ, ასეთი თანამშრომლობის შემთხვევაში, ჩვენ რაღაც გარკვეულ შედეგზე გასვლა შეგვიძლია, - გვითხრა არჩილ გუჩმანიძემ.

როგორც აღვნიშნეთ, მედიატურის ფარგლებში, ჟურნალისტები ქობულეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში სამ თევზსაშენ მეურნეობას ვეწვიეთ, მათ შორის, ალექსანდრე ტოტოჩავას, შპს „გურია ფიშის“ დირექტორს, რომელმაც აკვაფერმა 2018 წელს დააარსა და 4500 კვადრატულ მეტრზე ნორვეგიული ორაგულის ლიფსიტებს აწარმოებს. მისი თქმით, საქართველოში (და არამარტო) აკვაკულტურა ძალიან პერსპექტიული დარგია, თუმცა მიაჩნია, რომ აღნიშნულის განვითარებისთვის აკვა-ფერმერებს სახელმწიფოსგან მნიშვნელოვანი ხელშეწყობა სჭირდებათ.

- აუცილებელია, რომ კანონით შემოღებული რეგულაციები გამარტივდეს, მაგალითად, 2023 წლის მარტიდან ყველა აკვაკულტურის მწარმოებელ მეურნეობას სჭირდება სპეციალური ნებართვა. ჩვენ დიდი კომპანია ვართ და ამის პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ აჭარა-გურიაში არსებული პატარა მეურნეობებისთვის ეს საკმაოდ პრობლემატური იქნება და, ვფიქრობ, ვერ შეძლებენ გადახდას. ასევე აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც თევზის დაავადებების იდენტიფიკაციას მოახდენს. ლაბორატორიული კვლევების ჩატარება საკმაოდ დიდი ფინანსური ტვირთია, შესაბამისად, ეს სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს, უნდა გააკეთოს ლაბორატორია. გამორიცხულია, პატარა მეურნეობებმა ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, ბიომასალის აღება და თურქულ ლაბორატორიებში ანალიზის გაკეთება შეძლონ. სახელმწიფომ აკვაფერმერებს უნდა შესთავაზოს დარგში არსებული პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზები, - გვითხრა „გურია ფიშის“ დირექტორმა.

## მობილიზაციას გაქცეული რუსები... გაცნობის საიტებზე

ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, რუსეთიდან წასული მამაკაცები აქტიურად რეგისტრირდებიან გაცნობის სერვისებზე. როგორც გამოცემა RBC-ს გაცნობის სამსახურის „Mamba“-ს წარმომადგენელმა განუცხადა, მას შემდეგ, რაც 21 სექტემბერს რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა, გაიზარდა რეგისტრაციისა და გადახდების რაოდენობა გადაადგილებისთვის ყველაზე პოპულარულ ქვეყნებში. კერძოდ, სომხეთში რეგისტრაციების რაოდენობა წინა კვირასთან შედარებით 135%-ით გაიზარდა, საქართველოში - 120%-ით, თურქეთში - 110%-ით, ყაზახეთში - 32%-ით, ბელარუსში - 19%-ით.

ამავე პერიოდში სხვა ქვეყნებში აქტივობის ზრდა ასევე დააფიქსირა „Teamo“-ს სამსახურის წარმომადგენელმა. ყაზახეთში გადახდები წინა კვირასთან შედარებით 190%-ით გაიზარდა, საქართველოში - 125%-ით, სომხეთში - 52%-ით. ზრდა შესამჩნევი იყო თურქეთში, ისრაელსა და მონღოლეთში. რუსეთში, ოქტომბრის დასაწყისამდე, „Teamo“-ში მამაკაცთა რეგისტრაციების რაოდენობა 10%-ით შემცირდა, აღნიშნა პროექტის აღმასრულებელმა დირექტორმა ანა გრიშაჩოვამ, 1-ლი ოქტომბრის შემდეგ კი მაჩვენებლებმა მკვეთრი ზრდა დაიწყო. გაცნობის სერვის „Love-Planet“-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 21 სექტემბრის შემდეგ სხვა ქვეყნებში მამაკაცების რეგისტრაციების რაოდენობის ზრდამ საშუალოდ 6% შეადგინა, ქალებში კი აქტივობა იგივე დონეზე დარჩა.

**ამირან გურიელიძე**

# პოეზია უფალთან ურთიერთობის გზაა, როგორც ლოცვა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

**სალომე გოგოლაძე** წარმატებული მწერალია, აღიარებული პოეტი, პროზაიკოსი, არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული. 2013 წლიდან ემიგრაციაშია, იტალიაში ცხოვრობს. ემიგრაციის თემაზე მრავალი ლექსი და მოთხრობა აქვს დაწერილი, რომლებიც ყურადღებას იპყრობს და კრიტიკოსთა, მკითხველთა მოწონებას იმსახურებს. დღეს იგი ჩვენი სტუმარია.



**- გულწრფელი დიალოგი, რომ შედგეს, ცხადია, გულწრფელნი უნდა ვიყოთ. თვლით თუ არა თავს გულწრფელ ადამიანად, რამდენად შესაძლებელია გულწრფელობა?**

- საზოგადოების წინაშე რომ წარსდგები, როგორც შემოქმედი, არ გაქვს უფლება, არაგულწრფელი იყო. მათ ხომ ჩემს ლექსებში სწორედ ჩემი გულწრფელობა დაინახეს, ზოგმა საკუთარი თავი აღმოაჩინა. მწერალი ის ადამიანია, ვინც სხვის სათქმელსაც ამბობს და როგორ შემიძლია ვიყო ყალბი, თუმცა დღეს იმდენად მიეჩვივნენ ადამიანები ერთმანეთის მოტყუებას, რომ გულწრფელობა სისულელედ ითვლება. ეს იგივეა, შენს სახლში შემოუშვა უცნობი ადამიანები და არ იცოდე, რას მოიმოქმედებენ ისინი. მაგრამ ქრისტემ გვითხრა, რომ ნდობა ყველაზე დიდი ერთგულებაა... თუ არ ვენდეთ, ვერც მივხვდებით, ვინ როგორია.

**- წარმატებული, აღიარებული, მწერალი ხართ, არაერთი კონკურსის გამარჯვებული, მათგან რომელს გამოარჩევდით და რატომ?**

- ყველა კონკურსი თავისთავად მნიშვნელოვანია. ზოგადად, მწერლისთვის ასეთი გამოწვევები საჭიროა, მით უმეტეს, ემიგრაციაში მყოფი მწერლებისთვის, რადგანაც მთლიანად მოწყვეტილნი ვართ ქართულ რეალობას. მე, პირადად, ისეთ კონკურსებში ვმონაწილეობდი, რომ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, ამიტომ ეს გამარჯვებები ღირებულია. განსაკუთრებით გამოვარჩევდი კონკურსებს - რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობა", და „ქუჯი - 2021", სადაც ჩემმა ლექსმა გაიმარჯვა, აგრეთვე, „ხვარმზეობას", სადაც მეორე ადგილი დავიკავე. კონკურსები მწერლისთვის ძალიან დიდ როლს ასრულებს, თუმცა ყველაზე კარგი შემფასებელი მაინც საკუთარი თავია, რომელსაც ვერაფერს გამოაპარებ, პირველ რიგში, თვითრწმენა უნდა ჰქონდეს მწერალს და შემდეგ თვითკრიტიკა. დანარჩენი დროში იწრთობა...

**- ზოგს თქვენი პოეზია მოსწონს, ზოგსაც პროზა... მკითხველის წინაშეა თქვენი გახმაურებული წიგნები: „თავისუფლება სამოთხის ჩიტებს" (პოეზია) და „მგლის ცოლის ჩანაწერები" (პროზა), რომელში შეძელით ყველაზე უკეთ თქვენი ნააზრევის ხორცშესხმა?**

- მწერლად ჩამოყალიბებას ძალიან დიდი დრო და ენერგია სჭირდება. ვერ ვიტყვი, რომ ამ სამი წიგნით ამოვწურე ჩემი სათქმელი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება და ყველა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თემას წარმოაჩენს. ბოლოს გამოიცა მოთხრობების კრებული „მგლის ცოლის ჩანაწერები", რომელიც ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში შევქმენი. აქ შესული მოთხრობებიდან უმეტესობა ემიგრაციის თემას ეხება. სწორედ აქედან გამომდინარე, გამიჩნდა იდეა, ემიგრაციის თემა სცენაზეც გამეცოცხლებინა. დავწერე პიესა, რომლის მიხედვითაც, არაპროფესიონალი მსახიობების მონაწილეობით, დავდგი სპექტაკლი „ჩემი მიწა", რომელიც იტალიაში იხილა ქართველმა მაყურებელმა და დიდი მოწონება დაიმსახურა. რადგანაც ეს იყო ალბათ ემიგრაციის ისტორიაში ერთადერთი სპექტაკლი, რომელიც ემიგრანტმა დადგა ემიგრანტი მოყვარული მსახიობების მონაწილეობით. სამწუხაროდ, ამ პროექტს გაგრძელება არ ჰქონია, რადგანაც პანდემიამ მოგვისწრო და მხოლოდ ერთხელ მოვასწარით სცენაზე გატანა.

**- თქვენი ნაწარმოებები ტექსტების წაკითხვამდეც, არაორდინარული სათაურებითაც იპყრობს ყურადღებას, მაგალითად, „თამაში მარგალიტებით", ანდა „ანგელოზის დაბადება". მიგაჩნიათ, რომ სათაური ტექსტის იდეური ჩანაფიქრის ნიშანი უნდა იყოს? საინტერესოა, როგორ არქმევთ მათ სათაურებს?**

- რა თქმა უნდა, სათაური უნდა პასუხობდეს ნაწარმოების შინაარსს, ისე ხომ აზრი არ ექნებოდა. სათაურს დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველისთვის. ზოგჯერ მარტო სათაური წაგაკითხებს ნაწარმოებს. მაგალითად, „ანგელოზის დაბადება" ადამიანის პირველ სახეს გულისხმობს, შეურყვნელობას. თავიდან უცოდველნი ვიბადებით, თუ არ ჩავთვლით ევას ცოდვას, რაც დაბადებიდან დაჰყვება ყველას. ამ სათაურში სულის უმწიკვლობა იგულისხმება, რაც დრო გადის, ადამიანის სულიც იცვლის სახეს და ცოდვით ბინძურდება. სწორედ, ამაზეა ეს პატარა ჩანახატი „ანგელოზის დაბადება". ჯერ ნაწარმოებს ვწერ ხოლმე და მერე სათაურს ვარგებ, ყოფილა ისეც, რომ რამდენჯერმე შემიცვლია სათაური. სათაური კოდური სახელივითაა, რომელიც რაღაცაზე მიგანიშნებს, მაგრამ პასუხს არ სცემს - ეს მკითხველმა უნდა ამოიცნოს, რა თქვა მწერალმა ამ სათაურით. მაგალითად, „დაარქვი ჩემი სახელი" - ასეთი მოთხრობა მაქვს, რომელიც მაშინვე იქცევს ყურადღებას... თვითონ გაკითხებს თავს. ფინალში უკვე იკვეთება სათაურის აზრიც. მკითხველი მიჰყვება მოთხრობის ქარგას და ნელ-ნელა იხსნება ნაწარმოების იდეაც.

**- სამყაროსათვის უფრო დიდი ტრაგედიაა თუნდაც ერთი პოეტური სულის დაკარგვა, ვიდრე გამომშვიდობება თუნდაც მეფეთა და პოლიტიკოსთა მთელ დინასტიებთანო, ეს ერთმა ჭკვიანმა კაცმა ბრძანა... თქვენ როგორ განავრცობდით ამ აზრს? ისე, ჩვენში (და არა მარტო აქ) ბუნების სიმდიდრეები უფრო დაცულია, ვიდრე ადამიანის ტალანტი, მით უფრო პოეტური.**

- ზოგადად, სამყარო არ ცნობს ადამიანებს ტიტულების მიხედვით. ღმერთისთვის ყველანი თანასწორნი ვართ „მეფეც და პაიკიც", როგორც ერთ ცნობილ სიმღერაშია, მთავარი ისაა, ჩვენი არსებობით რა მოვუტანეთ სამყაროს, უკეთესობისაკენ შევცვალეთ თუ პირიქით. შეიძლება ერთმა უბრალო ადამიანმა უფრო ბევრი რამ გააკეთოს სამყაროსათვის, ვიდრე ვინმე მკაცრმა მბრძანებელმა. ადამიანის დანიშნულება და მისია სიკეთის კეთებაა, ერთმანეთის დახმარებაა. უბრალოდ, გააჩნია, რამდენად აქვს გააზრებული თითოეულ ჩვენგანს თავისი როლი დედამიწაზე. რაც შეეხება პოეტის როლს, დაბადებიდანვე დააქვს შემოქმედს ის ნიშა, რაც ასე ანსხვავებს სხვათაგან. ეს ერთი მხრივ კარგიცაა და ცუდიც. კარგია, რომ ეზიარები უფლის საიდუმლოებებს, შენეული წვდომა გაქვს სამყაროსთან და ყველაფერში ხედავ სილამაზეს, რომელიც მოგვცა უფალმა, მაგრამ ცუდია, რომ ხშირად შენი არ ესმით ადამიანებს და ეს გამორჩეულობა მარტოსულს გხდის. შემოქმედი მარტოა და ამავდროულად ამ მარტოსულობითაა სავსე. შემოქმედი, სუფთა სულია, რომელიც ადამიანობის ვალდებულებით ცხოვრობს და ჩვეულებრივი ყოფიერება ბორკილივით დააქვს.

**- მიაჩნიათ, რომ რელიგიური ადამიანი მაღალზნეობრივია, თუმცა ჩვენს რეალობაში ეს არ ჩანს, უფრო ფარისევლობა იკვეთება...**

- ჩვეულებრივი მოკვდავისგან განსხვავებით მეტი ზნეობა მოეთხოვება. მაგრამ დღევანდელ მათ მოღვაწეობას თუ გადავხედავთ, უმეტესი მათგანი შორს დგას ამ მოწოდებისაგან. რა თქმა უნდა, ასეთი მოძღვარი ფარისეველია. თუ კაცი მოატყუა, უფალს ვერ მოატყუებს და ორმაგად მოეკითხება თავისი ცდომილი ცხოვრება. იმასაც ვიტყოდი, რომ მოძღვარი და მწერალი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავიანთი დანიშნულებით. ორივეს ადამიანის სულის წინამძღოლობა ევალება, რა მიმართულებითაც წაიყვანენ, იქით წაჰყვება, ამიტომ აქვს უდიდესი ძალა სიტყვას ერშიც და ბერშიც.

*„ჩვენს დროში დიდი როლი ენიჭება მწერალს, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოექცეს იგი საკუთარ ქმნილებებს, ლექსი იქნება თუ მოთხრობა, იმიტომ რომ მწერალს ადამიანის სულთან აქვს უშუალო შეხება, მას სამყარო აძლევს უფლებას, რომ წინამძღოლის მისია შეითავსოს, გზა ასწავლოს დაბნეულთ და თვალი აუხილოს უიმედოდ მყოფთ*

**- ადამიანებს სილამაზე მოსწონთ, ეს ლამაზი ბუნება იქნება, ლამაზი ადამიანი თუ ლამაზი საგანი... და უფრთხილდება მას, ეთაყვანება კიდეც, მშვენიერების ეს განცდა, როცა სულს მოიცავს, ერთი ნაბიჯი გადადგმული გვაქვს კაცობრიობის დაცვისა და გადარჩენისაკენ, ასე არ არის?**

- კითხვის არსი თუ სწორად გავიგე, შემოქმედი ადამიანის როლზეა საუბარი. კაცობრიობის სულიერების შუქურაა შემოქმედი, პოეტი იქნება ეს თუ მხატვარი. სამყაროს კი გადაარჩენს ზნეობა და კეთილდღეობა, რაც უფრო კეთილგონიერია ადამიანი, უფრო ახლოსაა უფალთან, სიყვარულთან. თუ რომელიმე შემოქმედი უფლის მიერ ქმნილ სამყაროს ვერ ხედავს, არ განადიდებს, ის მაშინ საპირისპიროს მსახურია, რადგანაც ყველაფერს აქვს მეორე მხარე - ბოროტებას - სიკეთე, სიკვდილს - სიცოცხლე, დღეს - ღამე და ასე შემდეგ. შემოქმედი შუამავალია უფალსა და ადამიანს შორის, ამ ყველაფერს უფალი განაგებს - ვის რა როლი მიანიჭოს.

**- როგორ რეაგირებთ კრიტიკაზე, საერთოდ, რას ფიქრობთ ლიტერატურულ კრიტიკაზე?**

- უმიზნო ქებას პროფესიონალი ადამიანების კრიტიკა მირჩევნია. დღევანდელ ქართულ სალიტერატურო სივრცეში ნამდვილი კრიტიკოსი ცოტაა, კრიტიკოსობა ადვილი არ არის, მწერალი არცერთი ლექსით არ ფასდება...დამწყები მწერლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირველ შეფასებას პროფესიონალების მხრიდან. კრიტიკოსი ხელს უნდა უწყობდეს ნიჭიერი ადამიანის ზრდას და არა - განადგურებას. კრიტიკა ბასრი ხმალივით არ უნდა იყოს, ის უფრო დარიგებას უნდა ჰგავდეს, რომ დაფიქრდე და ისწავლო.

**- 2013 წლიდან ემიგრაციაში ხართ. როგორია ის ადგილი, სადაც თქვენ ცხოვრობთ და შრომობთ, აღწერეთ თუნდაც ერთი დღე.**

- ემიგრაციის თემაზე უამრავი ლექსი და მოთხრობა მაქვს დაწერილი. ეს თემა იმდენად მძიმე და მრავალმხრივია, რომ ასე ერთი სიტყვით ვერ გადმოსცემ. ემიგრაცია სავსეა მონატრებით, მარტოობის შეგრძნებით, შიშით და გაუცხოებით. ზუსტად ეს შეგრძნებები მაქვს გადმოცემული ჩემს ლექსში „სახლი".

**„ეს ჩემი სახლი არ არის, არა,**
**აკლდამისფერი კედლების მიღმა,**
**მიტოვებული ბავშვივით**
**ვდგავარ**
**და ვიწრო დღეებს, ვიხდი და**
**ვიცვამ.."**

იმდენად მძიმე და ნოსტალგიურია ემიგრანტის ყოველდღიური ცხოვრება, რომ ამ ყველაფერს ემიგრანტის გარდა ვერავინ მიხვდება. აქედან გამომდინარე, სულ ვფიქრობდი, ალბათ იმიტომ მხვდა წილად ასეთი ბედი, რომ ჩემს თავზე განმეცადა ემიგრანტების ტკივილი, პატარა სიხარულები და სამშობლოსთან შეხვედრის მოლოდინი, რომ სათქმელი მქონოდა ჩემი მკითხველისათვის. ულამაზეს და უჭკვიანეს ქართველ ქალებს უცხო ქვეყანაში, დამარხული აქვთ თავიანთი თავი, პირადი ცხოვრება, და სულ მცირე ყოფნით სიხარულისთვის... ალბათ, მოვა დრო და ემიგრანტებს სათანადოდ დააფასებენ.

**- მთელ მსოფლიოში ძირეული ცვლილებებია... ციფრული გადატვირთვის ფაზები მტკივნეულია, გონებრივ და ფსიქოლოგიურ გადაწყობას მოითხოვს, პანდემიაც და ომიც დაგვატყდა თავს... ამ ფონზე სულიერი წონასწორობისა და სიცოცხლის დასაცავად რა შეიძლება იღონოს ადამიანმა?**

- სწორედ ამ დროს სჭირდება სულიერი სიმტკიცე, დიდი გონიერება და საკუთარ თავში ჩაღრმავება. დღეს კაცობრიობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე რთული პერიოდი უდგას, ამდენი უბედურება ერთმანეთის მიყოლებით ძალიან ართულებს ცხოვრებას. ამიტომ ფსიქოლოგიურად მყარი ნერვების პატრონი უნდა იყო, რომ გამოსავალი იპოვო, გადარჩე. ვფიქრობ, დღევანდელ პერიოდში მწერალთა რიცხვმაც იმიტომ იმატა, რომ ადამიანს სათქმელი დაუგროვდა, იმდენად მარტო დარჩა სამყაროში, რომ საკუთარ სულიერებას მიმართა დასახმარებლად, მეგობრად ლექსი და პროზა მოიშველია, როგორც ერთგვარი თერაპია, რომ დაცლილიყო სათქმელისაგან. პოეზია უფალთან ურთიერთობის ერთგვარი გზაა, როგორც ლოცვა, ზოგმა ეს საკუთარ მოწოდებად აქცია. მაგალითად, ემიგრაციაში უამრავმა ადამიანმა დაიწყო წერა, ყველა შედევრს ვერ დაწერს, რა თქმა უნდა, მაგრამ ბევრმა მათგანმა დიდი გარდატეხა მოახდინა საკუთარ თავში... ჩვენს დროში დიდი როლი ენიჭება მწერალს, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოექცეს იგი საკუთარ ქმნილებებს, ლექსი იქნება თუ მოთხრობა, იმიტომ რომ მწერალს ადამიანის სულთან აქვს უშუალო შეხება, მას სამყარო აძლევს უფლებას, რომ წინამძღოლის მისია შეითავსოს, გზა ასწავლოს დაბნეულთ და თვალი აუხილოს უიმედოდ მყოფთ.

**- სემიოლოგთა აზრით, სამყაროში ყველაფერი ნიშანია. რისი ნიშანია - ადამიანი?**

- ადამიანი უფლის მიერ შექმნილი უმაღლესი გონია და ის მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის სახეა. ზოგჯერ ადამიანმა თვითონაც არ იცის თავისი შესაძლებლობების ზღვარი, თუ რამხელა უფლებები მოგვანიჭა შემოქმედმა. თვით სიტყვა „შემოქმედება" მიგვანიშნებს, რომ ყველა ჩვენგანშია ჩადებული რაღაც ღვთიური საჩუქარი, რომ ჩვენ შეგვიძლია, არაფრიდან შევქმნათ შედევრი... წარმოიდგინეთ, რასაც ჩვენ ვხედავთ, ერთ დროს ვიღაცის ფიქრის ნაყოფია. უფალმა მიანიჭა მას ქმნადობის უნარი და ამით იმსგავსა კიდეც მიწისაგან შექმნილი არსება.

**- ადამიანის სულის უპირველეს მკურნალად რას მიიჩნევთ?**

- სულის მკურნალი ისევ სულიერებაა, რაც მოდის სულიერი საწყისებიდან. სულის მკურნალი ხორციელი, ფიზიკური არ შეიძლება იყოს. ამიტომ სწორად შერჩეულ სიტყვას, მკურნალის, თვისებები გააჩნია. არსებობს ასეთი ქართული გამოთქმა „სული დამიამე", ანუ ისეთი რამ მითხარი, რომ დავმშვიდდე.

**- ერთმა მწერალმა თქვა თავის ინტერვიუში, ყველა მწერალი უცხოპლანეტელიაო... თქვენ როგორ ფიქრობთ? და თუ თქვენც უცხოპლანეტელი ხართ, რას გვეტყოდით ახლა ჩვენ, დედამიწელებს?**

- უცხო პლანეტელი შეიძლება ვიყო ჩვეულებრივი ადამიანისთვის, რომელიც ვერ ხედავს და არ ანალიზებს ის მოვლენები, რაც მე მაფიქრებს... დედამიწელებს ვეტყოდი, რომ ყველა წვრილმანში შეიძლება დაინახოს სილამაზე... თუნდაც უბრალო გამხმარი ხის ტოტიდან ხელოვანს შეუძლია შედევრი შექმნას. წარმოიდგინონ ერთი წუთით, რომ არ არსებობდნენ დედამიწაზე ხელოვანი ადამიანები, არ იარსებებდა პოეზია, მხატვრობა, მუსიკა, ცეკვა და ა. შ. რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, ადამიანს მარტო იმაზე რომ ეფიქრა, თუ რა უნდა ეჭამა, ან როგორ უნდა შემოსილიყო. სწორედ ამაშია უფლისმიერი სიბრძნე ჩადებული, და ეს ნიჭი განგვასხვავებს სხვა სულიერი არსებებისგან. დიახ, ხელოვანი ადამიანი იმდენად გამოირჩევა თავისი სამყაროთი სხვათაგან, ძალიან რთულია ჩაწვდე მის აზრებს. 21-ე საუკუნეში ხელოვნების და კერძოდ, ლიტერატურის როლი განუსაზღვრელია, ვერაფერი შეცვლის იმ სულიერ საზრდოს, რაც შეიძლება წიგნმა მისცეს ადამიანს, რაც უფრო წიგნიერია საზოგადოება, მით უფრო განვითარებულია ქვეყანა ზნეობრივად და ცივილურად. ამიტომ ნიჭიერ ადამიანებს მეტი ყურადღება და დაფასება სჭირდება. ხელოვანის როლი დღეს კაცობრიობის გადარჩენაც კი შეიძლება იყოს, რადგანაც სიტყვას წინამძღოლის მისია აკისრია, დაბნეული, შეშინებული და მარტოსული ადამიანისთვის მეგობრის ფუნქციაც აქვს. სიტყვა უფალია, რომელმაც სიბნელიდან უნდა გამოიყვანოს მოკვდავი. მწერალი ახლოს უნდა იდგეს ადამიანის პრობლემასთან, მას აქვს უფლება ჟარგონი, კილო, დიალექტიც კი გამოიყენოს, თუ ამას მოითხოვს ნაწარმოების გმირი, მაგრამ მისი ძირითადი სამწერლო ენა სუფთა ქართული უნდა იყოს.

**- ახლა ბათუმს და ბათუმელებს გადმოგვხედეთ, თქვენი სიყვარულის რომელ განედზე გვიგულებთ?**

- ძალიან მიყვარს ბათუმი და ბათუმელები. ბათუმს ძალიან ხშირად ვსტუმრობდი, ზაფხულობით თბილისის სიცხეს გამოვურბოდით თქვენთან. ბათუმს მართლაც აქვს რაღაც ისეთი იდუმალი ძალა, რომ სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში. თავისი საოცარი სილამაზით და სტუმართმოყვარე ხალხით, უძველესი ტრადიციებითა და აჭარულ დიალექტზე შექმნილი ფოლკლორული ნიმუშებით, ცეკვით, სიმღერით, უდიდესი პოეტებით: ზურაბ გორგილაძით, ფრიდონ ხალვაშით, ახალგაზრდა პოეტებით და მწერლებით, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ თანამედროვე მწერლობაში. ძალიან მიყვარს აჭარული დიალექტი - საოცარი ძველი ქართული სიტყვებით მდიდარი ლექსიკით. სამომავლოდ, როცა საქართველოში დავბრუნდები, აუცილებლად მოვივლი საქართველოს კუთხეებს, უფრო მეტად მოვეფერები ჩემს ულამაზეს სამშობლოს.

# «მსურს პოეზია ვაცოცხლო კინოში, კინო კი პოეზიაში»

## პროექტის მეხუთე წიგნი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთ პროფესიული სახელმწიფო თეატრის დარბაზში პოეტ ნიკოლოზ ფუტკარაძის მეხუთე წიგნის «დუმილის ქარაგმები» წარდგინება გაიმართა. წიგნში შეტანილი ლექსები თარგმნილია ინგლისურ და რუსულ ენებზე, თარგმანები ეკუთვნით გურამ სანიკიძესა და მანანა პაიჭაძეს.***

***წიგნის ავტორმა, მისმა ძმამ - გიორგი ფუტკარაძემ, რომელიც ნიკას ლექსებზე დაწერილი მუსიკის ავტორი და შემსრულებელია, გარეკანის მხატვარმა დავით ბაძაღუამ, მხატვარმა იოსებ ჯორბენაძემ, მოცეკვავე სესილი დავითაძემ, ვიდეოგრაფმა ანრი ფუტკარაძემ, ტექნიკურმა მენეჯერმა გიგა ლორიამ წარდგინების სრულიად ახალი ფორმატი შესთავაზეს დარბაზში მოსულ სტუმრებს, რაც ერთობ საინტერესო და სანახაობრივი აღმოჩნდა. წარდგინებაზე ნიკა ფუტკარაძემ ლექსები წაიკითხა, თავისი შემოქმედების ცალკეულ მხარეებზე ისაუბრა, რასაც ერთვოდა პროფესორ ტარიელ ფუტკარაძისადმი მიძღვნილი ვიდეოარტები და ვიდეორგოლები.***

*ნიკა ფუტკარაძემ წარდგინების დასასრულს მადლობა გადაუხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქალაქ ბათუმის მერიას ფინანსური მხარდაჭერისთვის. სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, ასევე რამაზ მსახურაძისა და გოგი ფუტკარაძის მისამართით.*

- დღევანდელ დღეს შეფასება არ სჭირდება. ფაქტი სახეზეა. საღამო შედგა. ვიხილეთ ხელოვნების რამდენიმე დარგის გაერთიანება. ყველაფერი დიდებული იყო. მთელი დარბაზი კმაყოფილია, - გვითხრა პოეტმა ბელა ქებურიამ.

წიგნის წარდგინებას დაესწრო ია ვაშაკიძე, პროფესორი, ტარიელ ფუტკარაძის მეუღლე.

- დღეს ნიკა ფუტკარაძის პოეზიამ ყველა გაგვაერთიანა, - თქვა მან, - ტარიელი აუცილებლად იქნებოდა ამ ღონისძიების მონაწილე. პატივია, რომ მის ნაცვლად მოვედი. ნიკას, გიორგი ლეონიძის სიტყვებს დავესესხები, «მშობელ მიწაში უდგას ფესვები». საოცარია მისი პოეზია, უაღრესად დამაფიქრებელი, არ დარჩენილა თემა, რომელსაც ის არ ეხებოდეს. დიდი მადლობა ნიკოლოზს ასეთი შესანიშნავი პოეზიისთვის.

წიგნის «დუმილის ქარაგმების» წარდგენის შემდეგ ვესაუბრეთ პოეტ ნიკოლოზ (ნიკა) ფუტკარაძეს.

- 8 წლის ვიყავი, როცა დედამ ლელა რაზმაძემ ნორჩ შემოქმედთა ლიტერატურულ კლუბში მიმიყვანა. ქალბატონი ბელა ქებურია გამესაუბრა. მცირე ზომის ჩანახატის «ფერების» წაკითხვა საკმარისი გამოდგა, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა შემდგარიყო. შემდეგ იგი წიგნის «წვეთავს ნატვრებიდან პოეზია» წინასიტყვაობაში წერდა: «შეხედულებითა და ასაკით ბავშვია, აზროვნებითა და საუბრით - მოწიფული... საკმარისია, ლექსის კითხვა დაიწყოს და... უცებ სხვა სამყაროში აღმოჩნდები. სამყაროში, რომელიც გაჯადოებს, მაგრამ ამავდროულად შიშის განცდასაც ბადებს, იმდენად არ შეესაბამება მის ფიზიკურ პარამეტრებს - სულიერი პარამეტრები».

**- როგორ შემოვიდა ქართული ლექსი თქვენს სულიერებაში?**

- ძალიან დიდი ტკივილითა და შიშით. მაშინ ჩემს სათაყვანებელ სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე კიდევ ერთხელ დაემუქრა, მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს ომი. პირველი ემოციები ამ საშინელებას უკავშირდება.

**- თუ გახსოვთ ეს ლექსი?**

- სამწუხაროდ, მას არ ვასაჯაროებ. ვინმემ ცილი არ დამწამოს, რომ იგი პირველი ცდა იყო და სუსტი იქნებოდა, სულ სხვაა მიზეზი. ემოციურ მუხტზე დაწერილი ეს ლექსი ჩემთვის დავიტოვე, მკითხველს არ გავაცანი. იმ დროს ძალიან დიდი ტკივილი ვიგრძენი. ეს ტკივილი იყო ერთგვარი მოტივიც, რომ კალამი ხელში ავიღე. ხალხის თავგანწირვა, ავბედითი დღეები დღესაც აუტანელ მოგონებად მრჩება. სიტყვებით გადმოუცემელი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, მარტივად ავიღე კალამი, მოვიმარჯვე ფურცელიც და გრძნობები, ხედვა, ტელევიზორის ეკრანიდან მოსმენილი, ბაბუას, ახლობლების მონათხრობი ერთად შევკარი. 8 წლის ბავშვის ოცნებები ასე დავუტოვე ჯერ საკუთარ თავს და შემდეგ... ყველაფრის აღქმა, გაგება იმ ასაკში ასე მარტივი არ იყო.

**- პირველი წიგნი რა ასაკში იხილა მკითხველმა?**

- პირველი წიგნი 10 წლის ასაკში გამოვეცი. ამას კრებული უფრო შეიძლება ვუწოდოთ, რომელშიც შევიტანე მოთხრობები, ჩანახატები,



ლექსები ანუ ბავშვის თვალით დანახული სამყარო. იმასაც გეტყვით, რომ 7-8 წლისა წიგნებს დავუმეგობრდი, როგორც ქართველი, ისე უცხოელი პოეტების ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს. ბავშვური ხედვით წავიკითხე მარკ ტვენის, მაინ რიდის ნაწარმოებები, რაც საფუძველი იყო სიტყვის მარაგის დასაგროვებლად, იმისთვის, რომ საკუთარი აზრი გადმომეცა, გადამეტანა ფურცელზე და მკითხველისთვის სასიამოვნო ყოფილიყო. ახლა რომ გონებაში გადავხარშავ, ვამჩნევ, ოდნავ სუსტი იყო ჩემი ნაწერები, თუმცა მრავალფეროვნება არ აკლდა. არცერთი სიტყვა ხელოვნური არ იყო, წრფელი გულით განცდილი, თვალსაწიერიდან დანახული სამყარო იყო გადმოცემული.

**- ლექსების პირველი შემფასებელი ვინ იყო?**

- დედა. სხვა მსმენელი, პრინციპში, არც მყავდა. იგი ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული და დღესაც ამ განწყობით ცოცხლობს, ცხოვრობს. ეს კიდეც აღვნიშნე წიგნის «დუმილის ქარაგმების» წარდგენისას. რაც დღემდე მოვიპოვე, რასაც მივაღწიე, დედის წყალობაა.

**- როგორი შემფასებელი იყო?**

- მას ცუდი სიტყვა, კრიტიკა არ დასცდებოდა, მუდამ კარგად მაფასებდა, ჩემში სიკეთის მარცვალს ხედავდა. ყველა სიტყვას, ყველა სტრიქონს ლმობიერი თვალით უყურებდა. ის ჩემი მოტივატორი იყო. ამაგს ვერ დავუკარგავ № 2 საჯარო სკოლის პედაგოგებს, გამორჩეულად - მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, რა თქმა უნდა, ჩემს დამკვალიანებელ ქალბატონს ბელა ქებურიას. დედის შემდეგ ლექსები მათთან მიმქონდა. კონკურსებზე მონაწილეობისას კრიტიკასაც ვაწყდებოდი. ყველაფერი მოტივად ვაქციე, რომ მოზღვავებული აზრები გამართულად გადმომეცა.

**- ერთ-ერთ წიგნს რატომ უწოდე «ჩირუხის ყვავილები»?**

- ჩემი ბავშვობის წლები ამ ულამაზეს და უმშვენიერეს ტერიტორიას უკავშირდება. ზაფხულობით, ბებიასთან ერთად, აჭარა-შავშეთის ქედის კალთაზე არსებულ ალპურ საძოვრებზე პირუტყვს ვმწყემსავდი. სიტყვით გადმოუცემელი შთაბეჭდილებებით ვიყავი დატვირთული. ვგრძნობდი უფალთან სიახლოვეს, წინაპრების საგმირო საქმეები ენერგიას მმატებდა, მოტივაციას მიორმაგებდა. იქ აკრეფილი ემოციებით ბათუმში ვბრუნდებოდი, ჩემთვის უსაყვარლეს ქალაქში და ქაღალდზე გადმომქონდა ის ბუნებრიობა, სოფლის ყოფა, ადამიანების შრომა, ცხოვრებისეული კატაკლიზმები, სიმწვანე, სიფერადე, სოფლის, ყვავილების სურნელი, ტანაქოჩრილი ნაძვები, თუნდაც ზღაპრული სამყარო, ერთი სიტყვით, რაც ჩემს თვალსაწიერში იყო. ახლა დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩირუხმა ჩემს შემოქმედებით სარბიელზე შესანიშნავი კვალი დატოვა.

**- თუ იგრძნობა თქვენს ლექსებში ადგილობრივი დიალექტი და ფოლკლორის მადლი?**

- იგრძნობა. არის ლექსები, რომლებშიც ადგილობრივი დიალექტი და ფოლკლორი გამოყენებული მაქვს, ის საინტერესო, ძველქართული სიტყვები, რომლებიც მთაში ყოფნისას «დამიჭერია», საინტერესო ამბებიც მოვიძიე. იქ ნანახს, გაგონილს სხვა ხიბლი და პეწი აქვს, ადამიანები ალალ-მართალი და გულწრფელნი არიან. ჩემი პოეზია მრავალფეროვნებით ამიტომაცაა გამორჩეული, ტექნიკური თვალსაზრისითაც. კონკრეტულად არ მაქვს დაყოფილი, მაგრამ სტილისტურად შესამჩნევია. ყველა ლექსს თავისი ხასიათი აქვს. მრავალია ისეთი ლექსი, რომელიც სოფლის სურნელს ატარებს.

**- თქვენი ნიჭი საქართველომ გაითავისა. გერგოთ პატივი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან შეხვედრისა. რა განცდები გეუფლებოდათ?**

- წარმოუდგენელი განცდა იყო. მან ჩემში უდიდესი მუხტი შემოიტანა თავისი უბრალოებით. მე ვიყავი უფალთან ყველაზე უფრო დაახლოებული ადამიანის პირისპირ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება უბრალოებაა. სწორედ ასეთი რამ დავინახე. ის შთაბეჭდილებები ახლაც მასაზრდოებს, გამორჩეულ მუხტს მაძლევს, მაძლიერებს. მისი სიტყვა, წინადადება სხვა სამყაროში მახედებდა. ის თავს თითოეული ჩვენგანის ტოლად წარმოგვიდგენს, მასში ჩანს ზეადამიანური გრძნობები, რაც კიდევ უფრო ამაღლებს. ჩემს ცხოვრებაში ისეთი ადამიანი, რომელსაც უბრალოება ახასიათებდეს, პირველად ვნახე. ალბათ, ეს მისი მთავარი ძალაა.

**- მოსწავლეობის წლებში ჯერ სკოლამ, შემდეგ მამისეულმა მარეთის ხეობამ საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრები მოგიწყოთ. იმ ღონისძიებებიდან მოსაგონრად რა გრჩებათ?**

- ყველაზე მეტად ადამიანებთან კომუნიკაცია მახარებს. ისინი მუდამ გულწრფელები, მოსიყვარულეები, ჩემდამი მოკრძალებულები რჩებიან. კარგია, როცა ლექსს კითხულობ, მაგრამ უმთავრესია აუდიტორია როგორ გიფასებს. ჩემთვის უდიდესი კომფორტია, როცა აუდიტორია გაფასებს. ასე იყო იმ დროსაც და ასეა დღესაც, როცა თოჯინების თეატრის დარბაზი გადაჭედილია და მსმენელი კარგად მიგებს. არასდროს და არც ახლა არ მქონია დარბაზთან, მსმენელთან დაახლოების პრობლემა. პირიქით, ისინი მაძლიერებენ. ის ორი ღონისძიება, შემდეგ სხვებიც, მიბიძგებდა, პოეზიის მუხტი ამემაღლებინა. გეტყვით, რომ მამისეულ შუახევში ჩატარებული ღონისძიება ჩემთვის ყოველთვის იყო და იქნება მიმზიდველი და საინტერესო. იქ, შუახევში, ჩემი ლექსები სხვანაირად ხმაურობს, სხვა სურნელი აქვს, მშობლიური განცდებიც მოჩანს.

**- გარკვეული პაუზა თქვენს შემოქმედებაში რამ განაპირობა?**

- ბედრკულმა საქართველომ განაპირობა ეს პაუზა. როცა წამოვიზარდე, საჭირო გახდა ფიზიკურად მეშრომა, სწავლა არ მიმეტოვებინა, მიხდებოდა ყოფიერი ცხოვრების ნაწილთან ჭიდილი. მივხდი, რომ ძალიან რთულია ჩვენს ქვეყანაში წერდე, გქონდეს საამისო პირობები, სიცოცხლე და არსებობა საფრთხის წინაშე არ დააყენო. სწორედ ასეთ ჭიდილში ვიყავი, ამიტომაც აქტიურობა ნაკლები იყო. ჩემი სიტყვა ყოველთვის იყო კრიტიკული. ჩემი უნარი, ხასიათი, განცდა მიმართული იყო იქითკენ, რომ მოზღვავებულ პრობლემებს გავმკლავებოდი, ყოველდღიური ცხოვრებით მათი გადაწყვეტის გზა მენახა. ძირითადად, სწავლით და შრომით ვიყავი დაკავებული. ამ ფაქტორებმა გადამწია, თუმცა შემოქმედებასთან სიახლოვე არ შემიწყვეტია. რომ არ ვჩანდი, ესეც ჩემი სურვილი იყო. ამ პაუზის შემდეგ, ძლიერი დაბრუნება მინდოდა. ახლა ვამბობ, რომ ჩემი პოეზიის, ჩემი შემოქმედების ხელმეორედ დაბადებაა. ვიგრძენი პასუხისმგებლობაც. ეს პასუხისმგებლობა არც ისე იოლი და მარტივია. მრავალი ფაქტორი, პრობლემა ადამიანს მოსვენებას გიკარგავს, ნორმალური ცხოვრებისა და აზროვნების რიტმს გირღვევს. პრობლემების გამოსწორების გზების მონახვაც ფიქრს ითხოვს. ყველაფერმა ჩემს ცხოვრებაშიც საკმაო დრო «შეიწირა». თუმცა ამ დროის განცდები ჩემს პოეზიაში გადმოცემულია და რამდენიმე ლექსი დღესაც გავახმიანე თოჯინების თეატრის სცენიდან.

**- საზოგადოება ფიქრობდა, რომ პროფესიის შერჩევისას სხვა არჩევანს გააკეთებდით. რას მივაწეროთ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტობა?**

- კინო ბავშვობიდან მიყვარდა. ჩემი აზრით, კინო ყველაზე შემოქმედებითი სფეროა. იგი თავს უყრის პოეზიას, მუსიკას, ქორეოგრაფიას, ხელოვნების ყველა მიმდინარეობას. ამ სინთეზში მსურდა მონაწილეობა და... მიტაცებდა გადაღებები, მასთან დაკავშირებული ექსტრიმი, ბავშვობიდანვე მიტაცებდა ამერიკული, ფრანგული, იაპონური კინო, ახალი ტალღა და სხვა. ვფიქრობ, საინტერესო არჩევანი გავაკეთე იმ სფეროზე, რომელიც მსოფლიოში ახლად დაბადებულია. დიდი პატივი იქნება, თუ ამ სარბიელზე პირად წვლილს გავიღებ.

**- გამოდის, რომ პოეზიას კინოხელოვნებასაც შეუთავსებთ?**

- მსურს, პოეზია ვაცოცხლო კინოში, კინო კი პოეზიაში, რაც ნაწილობრივ «დუმილის ქარაგმების» წარდგენაც იყო. გადავიღე ვიდეოარტები, სადაც ჩემი ლექსები და მუსიკა ერთმანეთთან კავშირშია.

**- წიგნის «დუმილის ქარაგმები» ანოტაციაში აღნიშნულია, რომ იგი ეძღვნება დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერს, ცნობილ ქართველოლოგს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს. მასთან რა სიახლოვე გქონდათ?**

- უშუალო კონტაქტი მქონდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ის გამორჩეული პიროვნება იყო, სულიერად ამაღლებული, ქართული სიტყვის, ენის დიდი ქომაგი, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის მებრძოლი. მასთან კომუნიკაციამ მრავალ საქმეში კონკრეტულად ჩამახედა, ძალიან პროდუქტიულ იყო. ბევრჯერ გვქონდა საუბრები ქართულ პოეზიაზე, მშობლიური ტომაშეთის წარსულსა და დღევანდელობაზე, კამათიც გვქონია. და რაც მთავარია, მისი გულთბილი დამოკიდებულება, თანადგომა არ დამავიწყდება. ვიცოდი, სად იდგა, რა პოზიცია ჰქონდა. ის იყო ეროვნული ადამიანი, ქართული ადათ-წესების დამცველი, პატრიოტული სულისკვეთების პიროვნება. ჩემი ახალი წიგნიც ამიტომ მივუძღვენი.

**- დედის შესახებ გვესაუბრეთ, მამის როლი როგორია თქვენს შემოქმედებაში?**

- მასაც თავისი ადგილი აქვს. ერთი გარემოება ისაა, რომ იგი უცხოეთშია, რათა ოჯახს ეკონომიკურად დაეხმაროს. ამის მიუხედავად, ყოველ ჯერზე, თითოეულ ნაბიჯზე ჩვენთანაა, ფინანსურად, მორალურად გვეხმარება. უცხოეთიდან ზურგს გვიმაგრებს.

**- ნიკოლოზს პოეზია იტაცებს, ძმას, გიორგის - ხელოვნება. თქვენი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება როგორია?**

- ფანტასტიკურად ვერ ვუგებთ ერთმანეთს, თუმცა რაც ხელოვნებას, შემოქმედებას ეხება, აქ ზღვარი არ არსებობს. ყოველთვის იდეალური თანხვედრა გვაქვს, როცა ერთად ვსხდებით და კონკრეტულ კომპოზიციებს ვქმნით, რაც დღესაც გამოჩნდა. მასთან მუშაობა ყოველთვის საინტერესოა. იგი გამორჩეული მომღერალია, რაც მრავალგზის დაადასტურა, ქვეყნის ფარგლებს მიღმაც. იგი «X ფაქტორში», უცხოეთში იყო. იქ პირველი ადგილი მოიპოვა. ჩვენ ვქმნით განსაკუთრებულს და მას სინთეზს ვუწოდებ.

**- დგება დრო, შექმნათ ოჯახი, გულისწორიც ხომ არ ამოგირჩევიათ?**

- კი, მაგრამ ოჯახის შექმნა ჯერ ნაადრევად მიმაჩნია. ბევრი რამ მაქვს საპოვნელი, რათა ჩემი ცხოვრება საბოლოოდ შედგეს. გააზრებული მაქვს ოჯახის პასუხისმგებლობა, მზად უნდა იყო ამისთვის, რათა წარმატებული მომავალი გქონდეს. ორი ადამიანის თანხვედრა ენერგიას, დროს, სხვა პასუხისმგებლობას ითხოვს. ახლა დაკავებული ვარ საკუთარის თავის მაქსიმალურად სრულყოფისთვის.

**- როგორ შემოვიდა თქვენს შემოქმედებაში ქვეყნის დედაქალაქი თბილისი?**

- სტუდენტობა იქ გავატარე. სიმართლე გითხრათ, თბილისზე ლექსები არ დამიწერია, მაგრამ ისინი გაჯერებულია თბილისის ჰავით, მისი ადამიანებით. იქ ვისწავლე დამოუკიდებელი ცხოვრება. იქ ცხოვრებას დიდი პრიორიტეტი და გამოწვევა აქვს.

**- ამ ეტაპზე რა სამსახურით ხართ დაკავებული?**

- ტურიზმში სარესტორნო მენეჯმენტის მიმართულებით ვსაქმიანობ, თუმცა ახლის ძიებაში ვარ. ამ სფეროში განათლება მიღებული მაქვს, მაგრამ საკუთარი მეს სრულყოფისთვის ტურიზმი დიდ სამსახურს ვერ გამიწევს. აქ დახარჯული დრო და ენერგია ჩემს შემოქმედებას ვერ წაადგება.

**- კინოხელოვნებაში ფეხის შედგმაზეც ხომ არ ფიქრობთ?**

- შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად გარკვეული პროექტების განხორციელებას ვაპირებ. შუახევში მრავალი ლოკაციაა, რომელიც ბანაკებად შეიძლება ვაქციოთ, მოვიწვიოთ ახალგაზრდა ხელოვანები, მოვაწყოთ ფესტივალები, რომლებზეც საინტერესო ფილმებს გადაიღებენ. იქნება კონტრიბუცია და ჩვენი კუთხე იქცევა გამორჩეულ კინოობიექტად. ამას ის გარემო გვკარნახობს, რაც ამ ეტაპზე გაგვაჩნია.

**- მზადება მიდის შუახევში ახალგაზრდული კინოფესტივალის ჩასატარებლად. როგორია თქვენი ჩართულობა?**

- მაქსიმალური, პირად წვლილს შევიტან. ვამუშავებ პროექტსაც, მაგრამ ჯერ საჯაროდ გამოტანისგან თავს ვიკავებ.

**- ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სცენაზე პირველად შედგა თქვენი წიგნის წარდგენა. რა ადგილს დაიჭერს ეს დღე ნიკოლოზ ფუტკარაძის შემოქმედებაში?**

- ეს მეხუთე წიგნია, მაგრამ ასეთი მაღალი დონე, გადაჭედილი დარბაზი, შეფასებები პირველია. არაჩვეულებრივი გარემო და ადგილია. ეს დღე ახალი ათვლის წერტილია. ეს წიგნიც დანარჩენებისგან განსხვავდება.

# გია შომახია: ვცდილობ, ამ ადგილს გვერდი ავუარო

ფიქრია დავლაძე 597 25 25 72

***„იმ დღის შემდეგ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა, ახლა ერთადერთი საზრუნავი ჩემი შვილია, რომელიც ტრაგედიას გადაურჩა“, - ამ სიტყვებით დაიწყო გაზეთ „აჭარასთან“ საუბარი 8 ოქტომბრის ტრაგედიისას დაღუპულების ოჯახის წევრმა გია შომახიამ***

ამბობს, რომ ის კადრები მეხსიერებიდან დღემდე არ გამქრალა და ახლაც ნათლად ხედავს თითოეულ დეტალს, გრძნობს და განიცდის. მაიასა და დათუნას გარეშე ცხოვრებას იმ შვილისთვის აგრძელებს, რომელიც ახლა 15 წლისაა და მამა ერთადერთ იმედად ჰყავს.

- ბავშვი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, თავიდან ვერ ვახერხებდი დამეძლია მასში ეს უდიდესი ტკივილი, ორივე დაბნეულები ვიყავით. ეს მოულოდნელი იყო, მსგავსი ტრაგედია ალბათ ყველას ჭკუიდან შეშლიდა, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი, ვისთვის მიგვემართა. ბავშვს ფსიქოლოგების დახმარება დასჭირდა. მეპარებოდა სახლიდან, ვიცოდი, სადაც იქნებოდა და არ მიჭირდა მისი პოვ-



ნა, აქ, ნანგრევებთან მოდიოდა. არ ვიცი, ამით თავს იმშვიდებდა თუ დედის და ძმის მონატრების სურვილს იკლავდა. გამომაფხიზლა მისმა მდგომარეობამ, მივხვდი, რომ უფლება არ მქონდა, წავქცეულიყავი, დარდს შევეჭამე. ჩემი შვილის კეთილდღეობისთვის და ჩემი გარდაცვლილი მეუღლის და შვილის უკვდავსაყოფად მხნედ უნდა ვყოფილიყავი. ზოგჯერ ვერ ვახერხებ, ვიღლები და ვიფიტები, მაგრამ ახლობლების, მეგობრების, კეთილი ადამიანების დახმარებით ბევრი რამ შევძელი, სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა. ერთი წელია, ვცდილობ, ამ ადგილს გვერდი ავუარო, დღესაც რთულია 26 მაისის ქუჩაზე ჩემი მოსვლა, - გვითხრა გია შომახიამ.

8 ოქტომბერს 26 მაისის ქუჩაზე - ერთი წლის წინ მომხდარი ტრაგედიის ადგილას, დაღუპულების ოჯახის წევრები და ახლობლები იმყოფებოდნენ. ერთმანეთს თავიანთი ტკივილი მდუმარებითა და ცრემლებით გაუზიარეს. მათ შორის იყო კიდევ ერთი დაღუპულის დედა, რომელმაც თავისი ტკივილი გაგვიზიარა.

- სერგო ჩატარაშვილის დედა ვარ. ისიც ერთ-ერთი მათგანია, გასული წლის 8 ოქტომბერს ტრაგიკულად რომ დაიღუპა. უმძიმესია ამ დღის გახსენება, მას შემდეგ ჩემთვის ყველა დღე ისეთია, როგორიც 2021 წლის 8 ოქტომბერი იყო. ტრაგედიამდე ერთი კვირით ადრე მითხრა, დედა, ჩემს დასთან წაგიყვან სოფელში, ცოტა ხნით დაისვენე, ერთ კვირაში კი, პარასკევს, მოგაკითხავ და უკან წამოგიყვანო. წავედი სოფელში და პარასკევს ჩემს შვილს ველოდი, იმ დილით კი ასეთი ამბავი მოხდა. ტელევიზიით შევიტყვე კორპუსის ნაწილის ჩამონგრევის ამბავი, ვრეკავდი შვილთან, ზარი გადიოდა, მაგრამ არ პასუხობდა. განუწყვეტლივ ვრეკავდი, თურმე ნანგრევებში ყოფილა მოყოლილი. მოგვიანებით ზარიც აღარ გავიდა, ალბათ ტელეფონი დაჯდა. ყველა მამშვიდებდა, მანუგეშებდა, მეუბნებოდნენ, სერგო გარეთ დავინახეთ ქუჩაშიო, ცოცხალიაო, მაგრამ დედის გული არ ცდებოდა - ცუდი წინათგრძნობა მქონდა. მხოლოდ ჩემს შვილზე არა, ყველაზე ვნერვიულობდი, ყველა მტკიოდა, განა შეიძლება ასეთ დროს მხოლოდ საკუთარ ტკივილზე ფიქრობდე? ეს მთელი ბათუმის, საქართველოს ტრაგედია იყო, - გვითხრა გოგუცა ჩატარაშვილმა.

# კანონპროექტი, რომელიც რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას ითვალისწინებს, პარლამენტში ინიცირებულია

***პროექტის ინიციატორები პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატები ანა ნაცვლიშვილი, შალვა შავგულიძე, სალომე სამადაშვილი და დავით უსუფაშვილი არიან***

კანონპროექტის გათვალისწინებით, ზოგადი წესისგან განსხვავებით, ტურისტული ვიზის (C1 და C2 კატეგორიის) აღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტში, ინსპექტირების შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

საკანონმდებლო შეზღუდვებისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობას ფლობენ, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობა ჰქონდათ და გავიდნენ მოქალაქეობიდან ან დაკარგეს იგი.

პროექტით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ საქართველოში შემოსვლამდე წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.



საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქმება პირს, რომლის კუთვნილ ნივთებზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე გამოსახულია არასამშვიდობო სიმბოლიკა. თავის მხრივ, არასამშვიდობო სიმბოლიკა ისეთ სიმბოლიკას გულისხმობს, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტურ და ფაშისტურ ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან და გამოხატავს ამ ტოტალიტარულ რეჟიმს; აგრეთვე სიმბოლიკას, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში განხორციელებულ სამხედრო აგრესიასთან და გამოხატავს ამ აგრესიას. ამ უკანასკნელში იგულისხმება რუსული აგრესიის სიმბოლოდ ქცეული ლათინური ასოების Z-ისა და V-ს გრაფიკული გამოსახვა.

„ქვეყანაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა დიდი რაოდენობით შემოდინება წარმოქმნის საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს, რომელიც დროულ და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს. 2022 წელს, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოში ბინადრობის უფლების მისაღებად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიმართვიანობა 54%-ით არის გაზრდილი. 2022 წლის 21 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული „ნაწილობრივი მობილიზაცია“ დამატებითი იმპულსი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციის უამრავი მოქალაქისთვის, შემოსულიყვნენ საქართველოში.

თვალსაჩინოებისთვის: - მობილიზაციის გამოცხადებიდან სულ რამდენიმედღიან მონაკვეთში, 21-26 სექტემბრის პერიოდში საქართველოში შემოვიდა რუსეთის ფედერაციის 53 136 მოქალაქე, ხოლო გავიდა 34 990. სხვაობა ქვეყნიდან გამსვლელ და შემომსვლელ პირთა შორის მკვეთრად გაიზარდა“, - ვკითხულობთ პროექტის განმარტებით ბარათში.

**ამირან გურიელიძე**

## უკრაინა

უკრაინამ ხერსონის მიმართულებით კონტრშეტევის დაწყებიდან 1170 $კმ^2$-ზე მეტი გაათავისუფლა. ამის შესახებ დასავლური მედია უკრაინელი სამხედრო სპიკერის განცხადებაზე დაყრდნობით წერს. სამხრეთის სამხედრო სარდლობის სპიკერმა ნატალია ჰუმენიუკმა განაცხადა, რომ უკრაინა ხერსონის ფრონტზე პროგრესირებს, მაგრამ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ახლად აღებული ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მან უკრაინის ტელევიზიის ეთერში განაცხადა, რომ დასახლებებში, სადაც ისინი შედიან, „ბევრი მოულოდნელობაა დატოვებული ოკუპანტების მიერ“.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ლუგანსკის რეგიონში 7 დასახლება გაათავისუფლეს. ამის შესახებ უკრაინული მედია ლუგანსკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ სერგეი გაიდაის მიერ „ტელეგრამ“ არხზე გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს. კერძოდ, გაიდაის თქმით, გათავისუფლებულია ნოვოლუბოვკა, ნევსკოე, გრეკოვკა, ასევე, სვატოვსკის რაიონის კოლომიჩის სოფლის თემის სოფლები: ნოვოეგოროვკა, ნადეჟდა, ანდრეევკა, სტელმახოვკა. მისი თქმით, შვიდივე დასახლებას სრულად აკონტროლებს უკრაინა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ აფეთქება ყირიმისა და რუსეთის დამაკავშირებელ მთავარ ხიდზე უკრაინის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ტერორისტული აქტი იყო. „ეჭვგარეშეა, ეს არის ტერორისტული აქტი, რომელიც მიზნად ისახავს კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურებას“, - აღნიშნა პუტინმა. მისი თქმით, ეს „იყო დაგეგმილი და განხორციელებული უკრაინის სპეცსამსახურების დაკვეთით“. პუტინი მანამდე შეხვდა რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელ ალექსანდრ ბასტრიკინს, რომელსაც ხიდზე მომხდარი აფეთქებისა და ხანძრის გამოძიება დაევალა.

* * *

პუტინი უკრაინას ტერორიზმში ადანაშაულებს? ზედმეტად ცინიკურად ჟღერს რუსეთისთვისაც კი, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი „ტვიტერში“ წერს. „რუსულმა თვითმფრინავებმა 12 რაკეტით დაარტყეს ზაპორიჟიეს საცხოვრებელ უბანს, რის შედეგადაც 13 ადამიანი დაიღუპა და 50-ზე მეტი დაშავდა. აქ მხოლოდ ერთი ტერორისტული სახელმწიფოა და მთელმა მსოფლიომ იცის, ვინც არის“, - წერს პოდოლიაკი.

* * *

ევროკავშირი კიევსა და უკრაინის სხვა ქალაქებზე რუსეთის საშინელ თავდასხმებს გმობს და აცხადებს, რომ მშვიდობიან მოსახლეობაზე სარაკეტო თავდასხმა ომის დანაშაულია. „მშვიდობიანი მოქალაქეების რაკეტების სეტყვით მიზანში ამოღება სიტუაციის შემდგომი ესკალაციაა. ევროკავშირი უმკაცრესად გმობს ამ საზარელ თავდასხმებს მშვიდობიან მოსახლეობასა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე. ეს არის ის, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ჰუმანიტარულ კანონს და მშვიდობიანი მოსახლეობის მიზანში ამოღება ომის დანაშაულია“, - განაცხადა ევროკომისიის პრესსპიკერმა პიტერ სტანომ. მას შეკითხვა დაუსვეს ბელარუსსა და რუსეთს შორის მიღწეულ შეთანხმებასთან დაკავშირებითაც, რომელიც ბელარუსის დასავლეთ საზღვარზე რუსეთ-ბელარუსის ერთობლივი სამხედრო ჯგუფის განთავსებას ითვალისწინებს. ევროკომისიის პრესსპიკერმა მინსკი გააფრთხილა, რომ მოსკოვისთვის უკრაინაში დახმარების აღმოჩენისგან თავი შეიკავოს. „არ ვიცით დეტალები ერთობლივი განლაგების შესახებ, მაგრამ თუ ეს განხორციელდება, ეს იქნება უკანონო ომის კიდევ ერთი ესკალაცია“, - აღნიშნა ევროკომისიის პრესსპიკერმა. მისი თქმით, ბელარუსის ქმედებები ევროკავშირის მხრიდან უპასუხოდ არ დარჩება.

* * *

გერმანიის თავდაცვის მინისტრ კრისტინ ლამბრეხტის განცხადებით, გერმანია ოთხიდან ერთ „IRIS-T SLM“-ის საჰაერო თავდაცვის სისტემას უკრაინას უახლოეს დღეებში მიაწვდის. „განახლებული სარაკეტო თავდასხმა კიევსა და ბევრ სხვა ქალაქზე აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია უკრაინისთვის საჰაერო თავდაცვის სისტემების სწრაფი მიწოდება, რუსეთის თავდასხმები რაკეტებითა და დრონებით ატერორებს მშვიდობიან მოსახლეობას“, - აღნიშნულია ლამბრეხტის განცხადებაში. ამასთან, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შენობა, სადაც კიევში გერმანიის საკონსულოა განთავსებული, რუსეთის მიერ განხორციელებული ავიაიერიშის შედეგად დაზიანდა, მაგრამ საკონსულო ომის დაწყების შემდეგ აღარ ფუნქციონირებს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი და გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი სატელეფონო საუბრის დროს „დიდი შვიდეულის“ საგანგებო შეხვედრის მოწვევაზე შეთანხმდნენ, - ამის შესახებ ვოლოდიმირ ზელენსკი „ტვიტერში“ წერს. „გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან, რომელიც „დიდ შვიდეულს“ თავმჯდომარეობს, შევთანხმდით, მოვიწვიოთ ჯგუფის საგანგებო შეხვედრა. დაგეგმილია ჩემი სიტყვით გამოსვლა, რომლის დროსაც ვისაუბრებ რუსეთის მიერ განხორციელებულ ტერაქტებზე“, - აცხადებს ზელენსკი. მისი თქმით, სატელეფონო საუბარი გამართა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთანაც. „განვიხილეთ ჩვენი საჰაერო თავდაცვის გაძლიერება, მკაცრი ევროპული და საერთაშორისო რეაქციის აუცილებლობა, ასევე, რუსეთის ფედერაციაზე ზეწოლის გაზრდა. საფრანგეთი უკრაინის გვერდით დგას“, - წერს ზელენსკი.

მოამზადა
**ნაირა ფუტკარაძემ**

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/10/22, 21 20 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „უკრაინის გამარჯვება სჭირდება ახალი სამყაროს დაბადებას“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ბათუმმა ოდესის მერვე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს უმასპინძლა. ქართველმა და უცხოელმა მწერლებმა, პოეტებმა შეძლეს უკრაინისთვის განსაკუთრებული სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოხატვა*




ფესტივალის ფარგლებში არაერთი საინტერესო დისკუსია, წიგნის პრეზენტაცია და ღონისძიება გაიმართა, მათ შორის - ბავშვებისა და სტუდენტებისთვის. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორის, „გამომცემლობა წიგნები ბათუმში“ ხელმძღვანელ მარი კორინთელის თქმით, აღნიშნული ფესტივალის ჩვენს ქალაქში ჩატარება უმნიშვნელოვანესია, რადგან საქართველოს ერთხელ კიდევ ეძლევა შესაძლებლობა, თავისი ხმა მიაწვდინოს უკრაინას და აგრძნობინოს, რომ რაც ამ ქვეყანას სტკივა, გვტკივა ჩვენც, რამეთუ რუსეთი ოკუპანტია, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 20% აქვს მითვისებული.

- ქვეყანა რომ ვითარდებოდეს, აუცილებელია დეცენტრალიზაცია ყველა სფეროში, ამიტომაც, მგონია, ასეთი მასშტაბური ღონისძიებების დედაქალაქიდან რეგიონში გადატანა ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლოდ ქვეყნის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, ბათუმი ყოველთვის იყო, ოდესასთან ერთად, გამორჩეული კულტურული სულისკვეთების ქალაქი. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, იმ საშინელ სიბნელესა და ჩაკეტილობაშიც კი გამოირჩეოდა მაღალი ღირებულებებით. ვფიქრობ, ძალიან დიდი ხანია საერთო კულტურული სივრცის ნაწილები არიან ბათუმი და ოდესა. აი, ამ საერთო სივრცის ნაწილად ყოფნის განმტკიცება იქნება ამ ტიპის ფესტივალები. ჩვენ ძალიან რთული დროება გვიდგას, რამაც განაპირობა ოდესის ფესტივალის გადმონაცვლება ბათუმში. ჩვენს ქვეყანას ეძლევა შანსი, ასეთი ღონისძიებებით დაანახოს ყველას, თუ სად დგას, ქართველ ხალხს ეძლევა შანსი, დაანახოს უკრაინელებს, რა არის მისი ჭეშმარიტი პოზიცია. სოლიდარობის გამოხატვის შესაძლებლობა გვეძლევა და ვთვლი, რომ ეს არა მხოლოდ ბათუმისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ფესტივალის ლაიტმოტივს, რა თქმა უნდა, ეს იყო ომი და მშვიდობა, უკრაინაში მიმდინარე პროცესები, რასაც გვერდს ვერ ავუვლიდით და რაც იყო კიდეც მიზეზი, რის გამოც ჩვენს ქალაქში ჩატარდა ოდესის ფესტივალი. ყველა ღონისძიება ისე იყო დაგეგმილი, რომ არ ყოფილიყო მხოლოდ ლიტერატურული ღონისძიებები. ეს იყო დისკუსია მიმდინარე პროცესებზე, იმაზე, თუ სად არის, სად დგას კულტურა და მწერლობა ამ დროს, რა ძალა აქვს სიტყვას ამ ყველაფერში. ზოგი იარაღით იბრძვის, ზოგი კალმით და კალმით ბრძოლაც, სიტყვით ბრძოლაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე იარაღით ბრძოლა. უკრაინელი მწერლები და პოეტები ახლა სიტყვითაც იბრძვიან და ყველა პლატფორმიდან ცდილობენ, გააგებინონ მთელ მსოფლიოს თავიანთი გასაჭირის შესახებ. მიუხედავად მსოფლიოს ძალიან დიდი დახმარებისა, დიდი ნაწილი მაინც ბრმა და ყრუა, შორს არის მათთვის რეალურად ეს ომი, ამიტომაც ისინი იყენებენ ყველა საშუალებას, რომ კიდევ ერთხელ მიაწვდინონ ხმა ყველას, ვისაც საჭიროა, რათა მსოფლიომ ამ მოვლენებზე ფოკუსი არ დაკარგოს. აქვე მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ინსტიტუციისა და ადამიანის მიმართ, ვინც თუნდაც ერთი აგური დადო ფესტივალის ჩატარებაში, - გვითხრა მარი კორინთელმა.

ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება ბათუმელი პოეტების - როინ აბუსელიძის, გენრი დოლიძისა და დიანა ნაკაიძის პოეზიის საღამოთი დაიხურა. მათი თქმით, ქართველმა მწერლებმა, ქართულმა ლიტერატურამ, ბათუმმა კიდევ ერთხელ მიაწვდინა ხმა უკრაინელ ძმებს და დებს, რომ საქართველო იყო, არის და იქნება მათი მეგობარი და მხარდამჭერი.

პოეტ როინ აბუსელიძის თქმით, სოლიდარობა ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან აბსოლუტურად პარალელურ მდგომარეობაში ვართ უკრაინასთან, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს ქვეყანაში ახლა არ ცვივა ბომბები, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენ ძალიან ბევრჯერ და მათ შორის ახლო წარსულშიც გავიარეთ, ამიტომ ყველაზე კარგად გვესმის უკრაინელების ტკივილი და დღევანდელი მდგომარეობა.

- ფესტივალის ძირითადი თემატიკა წელს, ბუნებრივია, ომია, რის გამოც ოდესაში ვერ მოხერხდა მისი ჩატარება და ბათუმში იმართება. ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო იყო, ჩემი, გენრი დოლიძისა და დიანა ნაკაიძის პოეზიის საღამოთი დახურულიყო ფესტივალი. მინდა მადლობა ვუთხრა საღამოზე დამსწრე თითოეულ ადამიანს, ჩვენი ერთიანობით ერთგვარი მესიჯი გავუგზავნეთ რუსეთს, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი აქვს მითვისებული, რომ შეწყვიტონ მშვიდობიანი ქვეყნების ოკუპაცია. უკრაინას და უკრაინელებს კი ვეტყვი, რომ ჩვენ ვართ ერთად და თუ ვართ ერთად ამ დიდი ბოროტების წინააღმდეგ, აუცილებლად გავიმარჯვებთ, ამის მჯერა და დიდი იმედი მაქვს, - აღნიშნა როინ აბუსელიძემ.

გენრი დოლიძის განცხადებით, თუ ვინმეს ესმის უკრაინელი ხალხის, ეს ვართ ჩვენ, ვინაიდან რუსეთის აგრესია საქართველომ არაერთხელ გადაიტანა და ეს დღემდე გრძელდება. მან მადლობა გადაუხადა ჩვენს ქვეყანას, ყველა ინიციატორს, ვინც სხვადასხვა ფორმით სოლიდარობა და თანადგომა გამოხატა უკრაინისადმი. პოეტის განცხადებით, ჩვენს ქალაქში მსგავსი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღონისძიება ჯერ არ გამართულა, შესაბამისად, ეს იყო უკრაინელი ხალხისა და ქალაქ ოდესის მიმართ სოლიდარობის უდიდესი აქტი, მეგობრული მხარდაჭერა.

- მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ქვეყანას, ყველა ინიციატორს, ვინც იმ გადაწყვეტილებაში მიიღო მონაწილეობა, რომ ჩვენი სივრცე დაგვეთმო ოდესისთვის. ეს ქალაქი საოცრად ჰგავს ბათუმს ქალაქური კულტურით, ტრადიციით და, ასევე, ჩვენსავით აქვს ძალიან მტკივნეული ისტორია. მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს, ინიციატორებს, ყველას, ვინც საფესტივალო დღეებში ესწრებოდა ამ უნიკალურ მოვლენას, რომელიც ჩვენი ქალაქის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. მე სხვას ვერაფერს ვეტყვი უკრაინელებს გარდა იმისა, რომ გამაგრდნენ. ახლა მათ მხრებზე, მათ გამძლეობაზე დგას მსოფლიო მშვიდობის, კეთილისა და ბოროტის გამარჯვება-დამარცხების საკითხი, ამიტომ უნდა გამხნევდნენ, იყვნენ ძლიერად და გაიმარჯვონ აუცილებლად ამ ომში, ეს გამარჯვება სჭირდება ახალი სამყაროს დაბადებას, - აღნიშნა გენრი დოლიძემ.

ახალგაზრდა პოეტი დიანა ნაკაიძე ამბობს, რომ პირველად ომი 7 წლის ასაკში შეეხო, ახსოვს მისი ოჯახის წევრებისა და მეზობლების ცრემლიანი თვალები, ახლა კი როცა ეს ყველაფერი უკრაინაში ხდება, განსაკუთრებული სევდა იპყრობს, ახსენდება მივიწყებული ემოციები და სურს, ეს ომი მალე უკრაინის გამარჯვებით დასრულდეს.

- ლექსები, რომლებიც ფესტივალზე წარმოვადგინე, არის ჩემი ხმა და მინდა გაიგოს ყველამ, რადგან ეს ხმა არის სრულიად საზოგადო და მნიშვნელოვანი. მინდა ჩემი სათქმელი ზუსტად მივიტანო იმ ადამიანებამდე, ვისაც სჭირდება თანადგომა. ვაგრძნობინო უკრაინელ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს სიყვარული და მხარდაჭერა. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვუთხრათ უსიყვარულობას, ომს, ოკუპაციას არა, - აღნიშნა დიანა ნაკაიძემ.

ფესტივალში, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ჩართული იყვნენ ავტორები საქართველოდან, უკრაინიდან, აშშ-დან, პოლონეთიდან, იტალიიდან, რუმინეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, სამხრეთ აფრიკიდან და თურქეთიდან.

ოდესის მერვე საერთაშორისო ფესტივალსა და ლიტერატურის როლზე გაზეთ „აჭარასთან“ ისაუბრა პოეტმა რატი ამაღლობელმა.

- ომის დროს მნიშვნელოვანია შეხვდე ომის მონაწილეებს, გაიგო მათი დამოკიდებულება, ხედვა, ის ყოფა, რაშიც ეს ხალხი იმყოფება. ერთია, საინფორმაციო საშუალებებში ნახო ამბები და მეორეა, შენს უკრაინელ კოლეგებთან ერთად ისაუბრო ყველაფერზე, რაც ახლა უკრაინაში ხდება, ერთად გაიაზრო წარსული და იფიქრო მომავალზე. დღეს იმედიანად ვუყურებთ საქართველოს და უკრაინის მომავალს, რადგან ვთვლით, რომ ჩვენი ბედი გადაჯაჭვულია. ლიტერატურა არ არის განყენებული, ცაზე გამოკერებული, ის დედამიწის ამბებსაც ყვება. შეიძლება ვთქვათ, რომ ფესტივალზე ომის ხმებია წარმოდგენილი და ჩემთვის ეს ფესტივალი ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, ვნახე, გავიცანი, ვესაუბრე, მოვისმინე და ჩემი აზრები გავუზიარე ჩემს კოლეგებს. ომი არ არის მარტო ფრონტი და ფრონტზე ტყვიები, ომი არის ძლიერი ზურგი, რომელიც ყველამ ჩვენი საქმით უნდა გავამაგროთ, - განაცხადა რატი ამაღლობელმა.

როგორც ფესტივალზე დამსწრე უკრაინელმა პოეტმა ოსტაპ სლივინსკიმ აღნიშნა, ომის დროს სიტყვებიც იცვლის მნიშვნელობას, რთული იყო აღეწერა ის საშინელება, რაც უკრაინაში ხდებოდა და გადმოეცა მკითხველისთვის.

- მე დავწერე ისტორიები ომზე და ამისთვის რამდენიმე მიზეზი მაქვს, მათ შორის - სამართლიანობის ძიება. ვფიქრობ, ჩემი ფრაგმენტები სასამართლო პროცესზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება იქნება და ოკუპანტი რუსეთი ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლდება. მინდა ბათუმს და ბათუმელებს მადლობა გადავუხადო მასპინძლობისთვის, ჩვენ ყველა ერთად გავიმარჯვებთ მტერზე, რომელსაც რუსეთი ჰქვია, - აღნიშნა პოეტმა.

ფესტივალის ორგანიზატორები და მასში ჩართული თითოეული მონაწილე ერთი წლით და იმ იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს, რომ ოდესის მეცხრე ლიტერატურული ფესტივალი უკვე გამარჯვებულ უკრაინაში, ოდესაში გაიმართება.

# ღვინის დღეები – საქართველოში

მე-2 გვერდიდან

მიზანი - რეალიზაცია ხდება ღვინის, ღვინის რეალიზაციის შემდეგ კომპანიები მეორე წლისთვის ემზადებიან, რომ მოიმარაგონ ყურძენი და ღვინის მრავალი სახეობა შესთავაზონ ადგილობრივ თუ უცხოურ ბაზარს. ცუდი ამინდის მიუხედავად, ღვინის ფესტივალის მიმართ ინტერესი დიდია, ხალხი მოვიდა ფესტივალზე. საზოგადოება მონატრებულია ასეთ საინტერესო ღონისძიებებს, - გვითხრა ლევან ბოლქვაძემ.

ჩვენ გავესაუბრეთ ასევე ფესტივალის მოწვეულ სტუმარს კახეთიდან ეკა ბალანაშვილს, რომელიც ბათუმელებს და ქალაქის სტუმრებს ადგილზე უტარებდა ბადაგის მომზადების მასტერკლასს. სტუმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავიანთი ხელით ამოევლოთ ჩურჩხელა და დაეგემოვნებინათ.

- მსგავს ფესტივალებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მოდიან სტუმრები, აგემოვნებენ, იგებენ, ნამდვილი კახური ჩურჩხელა რა რის, რა არის ბადაგი, მოსწონთ, აგემოვნებენ და კმაყოფილები მიდიან. ასევ, ბიზნესის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ფესტივალები, ვინაიდან ფერმერების ცნობადობასთან ერთად იზრდება საკონტაქტო არეალიც. აქ მხოლოდ ყურძნის და ღვინის ბიზნესზე არ არის საუბარი, არანაკლებ საინტერესოა ბადაგის ბიზნესი, ჩურჩხელის ბიზნესი. სამომავლოდ სურვილი მაქვს, მცირე საოჯახო წარმოება გავხადო მასშტაბური და შემოსავლიანი.

* * *

ღვინის დღეები სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა აქტივობით აღნიშნეს. ერთ-ერთი ეპიცენტრი კახეთის რეგიონო იყო. თელავში პრემიერ-მინისტრი მთავრობის წევრებთან ერთად ჩავიდა. მთელი დღის განმავლობაში ერეკლე მეფის სასახლის ეზოში გამოფენილი იყო სხვადასხვა სახეობის ღვინო, მზადდებოდა ტრადიციული კერძები, რომელთა მომზადებაში ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებიც მონაწილეობდნენ.

ღვინის დღეების ფარგლებში, პრემიერ-მინისტრმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს რთველში უმასპინძლა. ელჩები პრემიერ-მინისტრთან ერთად წინანდალში იმყოფებოდნენ და, ყურძნის კრეფასთან ერთად, კულინარიულ მასტერკლასშიც მიიღეს მონაწილეობა. ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩებს რთველის ტრადიციები გააცნო და მევენახეობისა და მეღვინეობის მნიშვნელობაზე ესაუბრა.



ღვინის ფესტივალის ორგანიზატორებმა მასშტაბური ღონისძიებები მოაწყვეს თბილისშიც. ალექსანდრეს ბაღში შეიქმნა სივრცეები ღვინის მწარმოებლებისთვის, აქცენტი კეთდებოდა როგორც ღვინის უკვე ცნობილ ბრენდებზე, ასევე ახალბედა მეწარმეებზე, რომლებსაც ბაზარზე თავის დამკვიდრება სურთ. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ ტრადიცული კერძებიც.

ძალიან საინტერესოდ წარიმართა ღვინის დღეები მცხეთაში, სადაც განსაკუთრებულად საფესტივალო გარემო შეიქმნა, ბორჯომში კი ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 10 ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი კომპანია. მოეწყო ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა, ასევე, მასტერკლასი და სახალისო აქტივობები ბავშვებისთვის.

სხვა საფესტივალო სივრცეების მსგავსად, არაერთ საინტერესო და უნიკალურ ღვინოს აგემოვნებდნენ ქუთაისში. ქალაქის ქუჩებში გამოფენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების მიერ ჩამოსხმული სხვადასხვა სახეობის ღვინო. დღის განმავლობაში გაიმართა კულინარიული მასტერკლასები, რომელშიც ცნობილი მზარეულები მონაწილეობდნენ. ქუთათურებმა გაიხარეს ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული აკადემიური ეროვნული ბალეტის კონცერტითაც.

ხალხმრავლობა იყო ოზურგეთშიც საფესტივალო სივრცეში, რომელიც ქალაქის ცენტრში განთავსდა, მიმდინარეობდა ყურძნის დაწურვა, ჭაჭის გამოხდა, პურის ცხობა და ჩურჩხელების ამოვლება.